

რაჭავ, ჩემო თვალის ჩინო...

რაჭველები

№ 5 (79) 1.05.2016 - 1.06.2016 შპსი: 2 ლარი

მომავლითი ბაზრების



ქრისტე აღდგა

4



ირინა გოცირიძის უკანასკნელი გეგმის შესახებ

16



ვალსა ლომთაძისათვის რაჭის სივრცული ყველაზე ფასეული

27



ვახტანგ თაყაიშვილის მოგზაურობა რაჭაში

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

36



გაგაჩაძის საკრებულო

ISSN 1512-150X

9 771512 150012

14



აგაპი დათვთან მორჩინებული კანინა

30



რეპორტაჟი „სიბუნების სემინარების შესახებ“



უბუღოესი დრბიდან ვაბდი ბრჱმა ყვაჯილომის შუქცულოლ დედათლად, სიღიადისა და სილამაჯის სიმშალოდ. ის უკვაბდათ და თაყვანს სცემდნენ, მას სთცმას ასსაუდნენ უბუღოესი დრბიდან. აბჭალოდგიუბი მინაგეშიშით ვაბდი დედამიწაზე უჯუ 25 მილიანი წელია აბსკომშს, სოლო მისი სელოუნუბი მამუნუმა 5000 წელია მიმდინაბრბმს და ამ დრბის უდიდესი ნაწილში ის ; ითულომბდა წმინდა სიმშალოდ. ვაბდების სუბნული ყთულოთვის უჯაუმიბრბმბდა აბა ამჭუყენიუბს.

ბულოად ბქმნდათ ცბადიცია, ბბმლის მისეიჯათ სალოცვაუბს ცაგსალი ვაბდებით ბთაუდნენ. ის მბბყაუდათ ჯაბ ჯიდუ ბამდენიბუ ათასი წლის წინ აღმსაჯლოთით და ყულოაბუ ბუელი მინაგეშიში ვაბდის შესასკომ გუხეიჯა ბუელ ინდუბ თქმულოშიში, თუბცა მის სამშალოთ სპაბსეთი ითულომა. ბუელსპაბსუელ ენამი სიფყვა „ვაბდი“ პიბდაპიბ ნიშნაეს „სელ“-ს. ბუელი პეიფეში იბანს უწაბდებდნენ „გ ი უ ლ ი ს ც ა ნ“-ს, ბაგ ნიშნაეს ვაბდების ქუყანას. შინგალობი ვაბდები წაბმშალოთ ინდოთიდანაა, ჩას ვაბდები ჩინოთიდან.

ბბგბბრე ცნბშილია სიყვაბულის ქალობითი ; აბბბბიფე ; ზღვის ; ცალოდებისგან გაბნდა. ჯაბ გამსაულოც აბ იყო სბულოთზე, ბბმ მბბწყინაუმა ქათუბმა მის სსეულზე ღია წითელ ვაბდებად იწყეს გადაქცუვა.


ბუელი შუბბბუბისთვის ვაბდი ყთულოთვის იყო სიყვაბულისა და მწუქაბრბმის, პეიჯიისა და თუბწიბის სიმშალო. დიდ სობაგს მიახნდა, ბბმ ვაბდი ყულოაბუ შიშუნობი და ყულოაბუ სასაბგეშალო ყვაჯილია) დედამიწაზე. მითუბიდან ; უიციო, ; ბბმ ; სალოცვაუბი ; ბბმლობიც აბბბბიფეს ებღუნებდა ; გაბბუბბბბცყბულონი ; იყუნენ ვაბდის შუწბუბით, სოლო თუბითბ ქალობითს ბალიან უყვაბდა ვაბდის წყალოში მანამბა.


ბუელი ბბმელობი ; იბდენად ; აღბუბბბბდნენ ვაბდების სილამაჯეს, ბბმ მათ სბბბლის მაგიუბად თესაუდნენ, სოლო ; ჰამთაბს ; გეშიშით ; გამბბქმნდათ ყვაჯილობი ეგვიბციდან. უიდუ ებთი ისცბბია თუ ბაგბბმ გაწითლდა ვაბდი – ედების ბაღში სეიბბბბის დრბს ეჯამ ვაბდს აუცა და ისიც ამ სიამბუნებისგან გაწითლდა. ვაბდი ყვაჯილია, ბბმულოც ბალიან თესბბს ქბისციანუბამი. მას სწაბრე ასე უწაბდებენ – ღუთისბბბბის ყვაჯილი.


მსაგვბრბი ღუთისბბბბულს გამბსასაუდნენ სამი თაიგულოთ. თუბბი თაიგული ნიშნაუდა მის სისაბრბს ; წითელი – მწუქაბრბმას ; სოლო ყუბოელი – დიდებას.

წითელი სავსისეში ვაბდი ქბისცეს სისსლის წუბოებისგან შუიქმნა, ბბღესაც მას ჯაბბზე აჯაუდნენ ანგელობზე სისსლის ; წუბოებს აგბბუბბდნენ ; მაგბამ ბამდენიბუ სავსზე დეიჯა და იქიდან ; გაიზაბდა ვაბდი. შულობუბმა ; ბბმ ; დანასა ; თუბბი ; ვაბდი ; აღბბბბუბნდა ; და გულოში ჩაიბბა, მასბი ეჯალი მას გულოში შუობბა და მისმა სისსლმა წითლად შუღება ვაბდის თუბობი.


სარჩევი

 სააღდგომო ეპისტოლე 2


 6 მაისი — წმიდა დიდმოწამე გიორგის აღსრულების დღე 3


 ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის დღე 3


ნინო რეხვიაშვილი


 ირინა გოცირიძის უკანასკნელი გაზაფხული 4

ვეფხია გავაშელი


 ამოძახილი სიბრძნის სკივრიდან, სიტყვათა მოხდენილი პაექრობა 7


 დაჯილდოება ჟურნალისტთა სახლში 9


 9 მაისი 10


 დრო მიდის, კადრები კი რჩება 12


გივი ლობჯანიძე

 დათვთან მორკინალი კაცი 14

 მალხაზ ლომთაძისათვის რაჭის სიყვარული

 ყველაზე ფასეულია 16

 აუდიენცია ამბროლაურის ავტოსადგურში 18

 ხალხის თვალით დანახული გამგებელი 19



გივი სიხარულიძე

რამდენი ფერი ჰქონია სიყვარულს 22

ეთერ კაკულიას 22

სასაფლაოდან სასაფლაომდე ... 23

წმიდა ექვთიმე აღმსარებელი (კერესელიძე) 24



ექვთიმე თაყაიშვილი



არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 27

ნინო რეხვიაშვილი



„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“ 30

მშვიდობით, ქალბატონო დარეჯან 32



უკანასკნელი გაზაფხული გულიკო ბერაია-ჩიკვილაძისა 33



ამბროლაური — სრულიად საქართველოს ამცნობს 34

თეა ცაგურიშვილი



პატარა სარაჭაო ასურეთში 36

მზია მაისურაძე



დილის განწყობა ბარბარიზმებით 40

მთავარი რედაქტორი —

ნინო რეხვიაშვილი

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —

გოჩა გუტაშვილი

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა

დალი ჯვარციანი

ტექსტი ააწყო

თამარ გოგიანიძე

კორექტორი

ქეთევან ნახნაძია

მისამართი: თბილისი, ლესელიძის

ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10

ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი “რაჭველები” ემიგრანტ რაჭველებს და არა მარტო მათ, გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს _ გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები, რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

მეირფასო მკითხველო!

გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

ქრისტე აღდგა!
ქრისტე აღდგა! – გუგუნებენ ეკლესიის ზარები
ქრისტე აღდგა! დღესასწაულობს ცა და ქვეყანა
ქრისტე აღდგა! – სიხარულით ვღალაღებთ ჩვენც და არამინიერი გრძნობით აღვსილნი ბოროტების ბატონობის დასრულებას ვზეიმობთ.

„სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?“ (I კორ. 15,55).

დღეს ყველა ბედნიერია, - მდიდარი თუ ღარიბი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ჯანმრთელი თუ სნეული... ურწმუნო ადამიანიც კი სხვა გრძნობითაა განმსჭვალული.

- რატომ არის ასეთი ყოვლისმომცველი ეს ზეიმი?

- იმიტომ, რომ მაცხოვარმა აღდგომით ზეცის კარიბჭეში გახსნა ყველასთვის და ადამის მთელი მოდგმა ადამის ცოდვის გამომსყიდველს შეჰხარის.

- მაგრამ რის ფასად მოგვენიჭა ეს ბედნიერება?

„შენთვის ღმერთი შენი ვიქმენ ძედ შენდა; შენთვის უმაღლესი ზესკნელთა გარდამოხვედ ქუეყანად და ქვეყანით შთავხედ ქუეშე ქუეყანისა, რათა ხრწნილებისაგან აღვადგინო,“ - ვკითხულობთ დიდი შაბათის საკითხავში.

ჩვენ უნდა დავიწყოთ ჩვენი თავის შეცნობა და ჩვენი სისუსტეებისა და ნაკლოვანებების გაცნობიერება.

როგორც წმინდა მამები აღნიშნავენ, მომაკვდინებელი ვნებები შემდეგია: გემო-თმოყვარება, სიძვა, ვერცხლისმოყვარება, მრისხანება, მოწყინება, უიმედობა, დიდებისმოყვარება და ამპარტავნება. სხვა ყველაფერი მათგან მომდინარეობს. ამა თუ იმ ცოდვამ ადამიანში თუ ღრმად გაიდგა ფესვი, მას დამღუპველი ზემოქმედება აქვს.

ამიტომაც, ნუ იფიქრებ, რომ თუ შენ, მაგალითად, კეთილი ხარ, მაგრამ ლოთი, ეს ცოდვა მაძიებდ არ იმოქმედებს შენს მომავალ ცხოვრებაზე. ან, თუ გონიერი ხარ, მაგრამ შურიტ სავსე, ეს ხელს არ შეგიშლის ცხოვრებაში.

„ვინც თქვა არ იმრუშო, ისიც თქვა: არა კაც ჰკლა. ამიტომ, თუ არ იმრუშებ, მაგრამ კაცს მოკლა, რჯულის დამრღვევი ხარ.“ (II ტიმ. 2, 10-11). ამასთან, ვნებებს შორის უხილავი, მტკიცე მიზეზ-შედეგობრივი კავშირია და თუ ადამიანი ერთ-ერთმა მათგანმა ჩაითრია, ის ერთი სხვა ვნებებსაც მოიზიდავს.

ნუ მივესგავსებით მაცხოვრის გვერდით ჯვარცმულ იმ ავაზაკს, რომელმაც მთელი სიცოცხლის მანძილზეც და ძელზე ყოფნისასაც ვერ გაიგო, რა იყო სიცოცხლის აზრი, ვერც ქრისტე შეიცნო, და კიდევ უარესი, - ბოლომდე შეურაცხყოფდა და დასცინოდა მას.

ღმერთმა ყველა დაიფაროს ამ მდგომარეობისაგან.

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანული ცხოვრება სერიოზული პრობლემების დაძლევის გულისხმობს. რა თქმა უნდა, ამ გზაზე ხშირად გვხვდება ცილისწამება, ღვარძლი, გაჭირვება, შური...და დგება ისეთი მომენტებიც, როცა ჩვენც აღმოგვხვდება: „მამაო ჩემო! თუ შესაძლებელია, ამარიდე ეს სასმისი“ (მთ. 26,39), ანდა „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტყვებ მე“ (მთ. 27,46), მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი იმაზე დიდ ჯვარს არ მოგვცემს, რისი ტვირთვაც არ ძალგვიძს. ამიტომაც, გაჭირვების ჟამს მასვე უნდა მივმართოთ, სულიერი ღვანლი განვადლიეროთ და პრობლემები მალევე დაიძლევა.

გამოუვალაი მდგომარეობა არ არსებობს!

ხოლო ის, ვინც სისუსტის, შიშის თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, რთულ სიტუაციას კი არ განერიდება, არამედ მარადიული ტანჯვის მორევეში შედის. ამიტომაც, ვისაც ასეთი ფიქრები გაუჩნდება, მსწრაფლ უნდა მოიშოროს თავიდან, მოძღვართან მივიდეს აღსარება თქვას, რათა სულიერად განმტკიცდეს და ბოროტის მარწუხებისგან თავი დაიცვას.

სამწუხაროდ, ბოლო დროს თვითმკვლელობის ფაქტები განსაკუთრებით გახშირდა გარდამავალი ასაკის ახალგაზრდებს შორის.

მათში ემოციური ფონი გაძლიერებულია. ამასთან, გარემოს შეცნობისა და ძიების პროცესი მიმდინარეობს, რასაც შეიძლება არასწორი მიმართულება მიეცეს.

ამიტომაც, ჩვენს გოგონებსა და ვაჟებს ამ პერიოდში მშობლებისაგან მეტი ყურადღება სჭირდებათ. მართალია, ეკონომიურმა გაჭირვებამ დედაც და მამაც აიძულა, რომ ლუკმა-პურის საშოვნელად მთელი დღე სახლის გარეთ დაჰყონ, მაგრამ შვილზე მზრუნველობა უმთავრესია და აქ, როგორც ქალის, ისე მამაკაცის, პასუხისმგებლობა თანაბარია.

მოზარდებისათვის ყურადღების მიქცევა მკაცრ მოპყრობას არ გულისხმობს. პირიქით, ეს ისეთი ასაკია, როდესაც თქვენ, მშობლები, მათ მეგობრად უნდა ექცეთ, მეტი სითბო აჩვენოთ, დაინტერესდეთ მათი მიზნებით, ცხოვრების წესით, სამეგობრო წრით, რომ თანამდგომად მიგიღონ და გულახდილნი გახდნენ. ეს თქვენთვისაც აუცილებელია და მათთვისაც.

თითოეულ ჩვენგანს სასწაულთმოქმედების უდიდესი უნარი გვაქვს; თუ ღმერთს მივებხლებით და ცოდვებისაგან განვთავისუფლებით, ჩვენს სულში დიდი ცვლილების მომსწრენი გავხდებით. ამისი მაგალითი არიან წმინდანები. ისინიც ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, როგორც ჩვენ ყველანი, ბევრ მათგანს ადრე ჩვენზე არანაკლები სისუსტეებიც შეიძლება ჰქონდა, მაგრამ სინანულით, აღსარებით, ზიარებით და სულიერი ღვანლით ზეციურ სასუფეველს მიაღწიეს. ამიტომაც წერს ნეტარი ავგუსტინე, წმინდანთა რიცხვი ყოფილ ცოდვილთა რიგებიდან მრავლდებაო.

მამ, შევიმოსოთ სიხარული, ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, რუსნო, უკრაინელნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, სომეხნო, ასირიელნო, უდიენო, ქისტნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ქურთნო, იეზიდნო და ყოველნო მკვიდრნო ივერიისა და უცხოეთში მცხოვრებნო თანამემამულენო!

მაცხოვარი დღეს იმედით აღავსებს მთელ სამყაროს; თითოეულმა ჩვენგანმაც ვიქონიოთ სასოება იმისა, რომ: „დამიხსნის მე უფალი ყოველი ბოროტი საქმისაგან და მაცხოვრებს მე თავის ზეციურ სასუფეველში.“

ქრისტე აღდგა!

აღვდგეთ და ამიერიდან ჩვენც „წარვიდეთ სიკვდილისაგან ცხოვრებად, წარვიდეთ ხრწნილებისაგან უხრწნელებად, ბნელისაგან ნათლად, მონებისაგან თავისუფლებად, რათა ვიხაროთ ორსავე სოფელსა შინა“. ამინ!

თქვენთვის მლოცველი
ილია II

ივანე ავა პაპოკლაიოთ

6 მაისი – წმიდა დიდმონაშენი გიორგის აღსრულების დღე

მართლმადიდებელი ეკლესია 6 მაისს წმინდა დიდმონაშენი გიორგის აღსრულების დღეს აღნიშნავს.

წმინდა საკვირველთმოქმედი და ძლევამოსილი გიორგი ქართველი ერის მფარველად მიიჩნევა და იგი საქართველოში განსაკუთრებით უყვართ.

წმინდა გიორგი მესამე საუკუნის მეორე ნახევარში, კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. მოგვიანებით, იგი რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს მმართველობის დროს, მხედართმთავარი გახდა.

ქრისტიანებზე დევნის დაწყების შემდეგ იგი იმპერატორს განუდგა. კერპთაყვანისმცემელმა რომის იმპერატორმა წმინდა გიორგის ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა. მან მრავალი სატანჯველი მოითმინა, მათ შორის - ბორბალზე გაკვრა. წმინდანს 303 წელს, 30 წლის ასაკში, მოკვდნის თავი. იგი ეკლესიის ისტორიაში შევიდა როგორც ძლევამოსილი და უძლეველი ზეციური მხედარი.

წმინდა გიორგი კაბადოკიელის კულტი მთელს მსოფლიოშია გავრცელებული. მას არამარტო მართლმადიდებლები, არამედ ყველა მიმართულების ქრისტიანული აღმსარებლობის მორწმუნეები კათოლიკები, პროტესტანტები,



გრიგორიანელები, მონოფიზიტები სცემენ თაყვანს. წმინდანის შესახებ ცნობები მაჰმადიანთა წმინდა წიგნში, ყურანშიც კი მოიპოვება.

ეკლესია წმინდა გიორგის ხსენებას წელიწადში ორჯერ, 6 მაისს - წმინდანის აღსრულების დღეს და 23 ნოემბერს - მისი ბორბალზე წამების დღეს აღნიშნავს.

წმიდა დიდმონაშენი გიორგის მეოხებით ღმერთმა გაძლიეროს სრულიად საქართველო!

ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის დღე




12 მაისს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს აღნიშნავს. წმიდა ანდრიას უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა, ამიტომაც ეწოდა პირველწოდებული. მაცხოვრის პირველი მოციქული, პეტრე მოციქულის ძმა, საქართველოში უფლის მცნებების საქადაგებლად უშუალოდ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დავალებით გამოემართა.

საქართველოში წამოსვლამდე მას დედაღვთისამ მოუწოდა და ამცნო, რომ მის წილხვედრ ქვეყანაში წმ. ანდრიას უნდა ექადაგა.

უფლის მოციქული პირველად ქართლის ტერიტორიაზე, დიდ აჭარაში შემოვიდა. მას თან ჰქონდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ ბოძებული ხელთუქმნელი ღვთისმშობლის ხატი.

წმ. მოციქული ანდრია საბერძნეთის ქალაქ პეტრაში ჯვარზე დაკიდებული აღესრულა. მის ხსენებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ორჯერ აღნიშნავს: **12 მაისსა და 13 დეკემბერს.**



ხოტევი იმ ხანად დავით და ესაკია გოცირიძეების ცხრაშვილიანი ოჯახი ცხოვრობდა. ეკონომიკურად არ უჭირდათ, შვილებს ხალისით ზრდიდნენ და მათი ნათელი მომავალსაც სჯეროდათ. მიუხედავად იმისა, რომ თავად აკადემიური განათლებით ვერ დაიკვებინდნენ, შვილებს უმაღლესი განათლება მიაღებინეს და გზა გაუკაფეს მომავლისაკენ.

ერთ წელიწადს რაჭაში დიდი თოვლი მოვიდა.

რაჭველები ამბობდნენ, ასეთი ზამთრის მომსწრე არა ვართო. გოცირიძეების სახლთან მისასვლელი გზა ზვავმაჩაკეტა. რა ექნა ცხრაშვილისმამას? აილო ნიჩაბი, გვირაბი გათხარა და შვილები სამზეოზე გაიყვანა. აი, სწორედ ეს გვირაბი აღმოჩნდა ამ ოჯახის უკვდავყოფის მიზეზი, ამ გვირაბმა აჩუქა საბჭოთა კავშირს და საქართველოს ისეთი დიდი მშენებელი, როგორცაა ვიქტორ გოცირიძე.

ვიქტორი ხოტევიში, ერთ-ერთ ულამაზეს უბანში, პატარა ხის სახლში დაიბადა. ვინ იფიქრებდა, რომ ამ ბიჭის სახელით ოდესმე მთელი საბჭოთა კავშირი იამაყებდა. თავიდანვე ნიჭიერი იყო. სწავლა არასდროს ეზარებოდა. ყოველდღე სკოლამდე მისასვლელად რამდენიმე კილომეტრს ფეხით გადიოდა. განსაკუთრებით ზამთარში უჭირდა. ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა გზად მიმავალი ურემი და სწავლას მონყურებულ ჭაბუკს კეთილი მეურმე სკოლამდე მიიყვანდა.

ვიქტორი პირველ კლასში იყო. სწავლა სამი თვის დაწყებულიც არ ჰქონდა, რომ მასწავლებელს დედამისი დაუბარებია და უთქვამს: — თქვენი ბიჭი ძალიან გონიერია, მისგან კაცი დადგებაო.

ნათელი ამ ქალბატონის სულს! მისგან მართლაც კაცი დადგა, კაცი და თანაც როგორი — საამაყო, სასახელო, პროფესიონალი.

ვიქტორ გოცირიძე სწავლის გასაგრძელებლად რუსეთში გაემგზავრა. იქ უფროსი ძმა უწევდა პატრონობას. ბევრი გაჭირვება გაიარა, მაგრამ როგორც იტყვიან, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ კარგავს.

უკვე მონიფული ჭაბუკი, ოჯახის შექმნაზეც დაფიქრდა. მომავალი მეუღლე, თავის რძლის და (ილიას ცოლის - ნინოს და, რომელიც სოფ. ბეთლევინიდან იყო) დარიკო მოსკოვში გაიცნო, იგი საბავშვო ბაღში პედაგოგად მუშაობდა. ჯერ მეგობრები იყვნენ, შემდეგ კი მათი გრძნობები წრფელ სიყვარულში გადაიზარდა და საქმეც გადაწყდა. ვიქტორმა მშობლებს რაჭაში დაურეკა, ოჯახის შექმნა გადაწყვიტო. გახარებულმა მშობლებმა შვილი დალოცეს და ქორნილის დღეც დაინიშნა. ქორნილი ერქვა, თორემ სულ რამდენიმე კაცი ჰყავდათ ბედნიერების მონმე და გამზიარებელი. ერთ-ერთი მისი ძმა ილია იყო. ისე მოხდა, რომ ძმებმა დები - ჩიხრაძეები შეირთეს ცოლად.

ერთ წლის შემდეგ, 1936 წელს ვიქტორს და დარიკოს ქალიშვილი შეეძინათ. მაგრამ ერთი უცნაური რამ მოხდა, მშობლებმა შვილს სახელი კარგა ხანს ვერ შეურჩიეს. ერთხელ ვიქტორს ქუჩაში მშვენიერი, უცნობი გოგონა შეხვედრია. ვიქტორმა გააჩერა, მოეფერა და სახელი ჰკითხა, ირა მქვიაო, უპასუხა უცნობმა ქალიშვილმა, — მინდა, რომ თქვენი გოგონა, პატარა ირინა, ჩემზე ლამაზი და ბედნიერი გაიზარდოსო“, უთქვამს მას. ასე ჩაინერა დაბადების მონმობაში ქალიშვილის სახელი: ირინა ვიქტორის ასული გოცირიძე.



ოჯახი მოსკოვში ცხოვრობდა, მაგრამ ბავშვი ზაფხულობით რაჭაში მიჰყავდათ ხოლმე დასასვენებლად. ირინა თავდაპირველად გენსინების სახელობის სამუსიკო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასში ჩაირიცხა. მთელი ოჯახი გოგონას გაზრდა-განვითარებაზე იყო ორიენტირებული. თავიდანვე ცდილობდნენ ბავშვისთვის დამოუკიდებლობის გრძნობა ჩაენერგათ. უნდოდათ ირინა მტკიცე ხასიათის, შრომისმოყვარე, სამართლიანი ადამიანი გაზრდილიყო, სხვისი ტკივილის გაზიარების უნარი და დაფასება ჰქონოდა, სიკეთისა და პატიოსნების დანახვა და დაფასება შესძლებოდა და ასეც მოხდა. ოჯახის ნებიერა გოგონა მართლაც სანაქებო ქალი გახდა. მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა.

1961 წელს ბატონი ვიქტორი ოჯახთან ერთად საქართველოში გადმოჰყავთ სამუშაოდ. ირინა რკინიგზის საავადმყოფოში იწყებს მუშაობას, მის სახლში სტუდენტების ნაკადი არ წყდება, ახალგაზრდებთან ურთიერთობა და მათი დახმარება დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. შესანიშნავი პიროვნება იყო, შემკული უმაღლესი ადამიანური ღირებულებებით, კეთილმოსავი და ღვთისნიერი, ლამაზი და კეთილშობილი. სხვათა დამხმარე და ქველმოქმედი. განსაკუთრებით სიამოვნებას ანიჭებდა თავისი კუთხის ხალხისათვის ხელის



უკვდავსაყოფად. მისი დამსახურება იყო, რომ მეტროსადგურს ვიქტორ გოცირიძის სახელი დაერქვა. ერთი პერიოდი ეს სახელწოდება გააუქმეს, მაგრამ ქალბატონი ირინას ძალისხმევით იგი კვლავ აღდგა და დღესაც მეტრო გოცირიძის სახელით მოიხსენიება.


ქალბატონი ირინა ექიმი იყო, მაგრამ ძალიან მოსწონდა მამის საქმიანობა, ამიტომაც სულ აინტერესებდა რა ხდებოდა ამ მხრივ ბატონი ვიქტორის ირგვლივ. სიცოცხლის ბოლო 15 წელი, როდესაც ავადმყოფობამ სძლია, განსაკუთრებული ძალისხმევით იმუშავა იმისათვის, რომ საქართველოს მეტრომშენებლობის არქივი მოენესრიგებინა.

შეაგროვა ფოტო თუ სხვა დოკუმენტური მასალა, რომელსაც მთელი რუდუნებით უვლიდა და ფიქრობდა, ყოველივე ეს, მამამისის მონაფის, ბიძინა სოლღუნაშვილისათვის გადაეცა. მაგრამ... მოხდა სამწუხარო ფაქტი, გარდაიცვალა ქალბატონი ირინა, ახლა ამ საქმის სისრულეში მოყვანას მისი ოჯახი უზრუნველყოფს.

ჰყავს ვაჟი, გიორგი კეკელიძე. ოჯახის მსგავსად, მასაც დიდი ნიჭი დააბერტყა უფალმა, 1986 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა. შემდეგ კი მოსკოვში, ასპირანტურაში გააგრძელა სწავლა. გიორგი ოჯახის ერთადერთი შვილიშვილი და სანაქებო შვილია. შვილი, რომელიც უკვდავყოფს ბაბუის

გამართვა. ველევის, ხოტევისა და ბეთლევის სკოლებს მუდამ მხარში ედგა, სასწავლო ნივთებით და მხატვრული ლიტერატურით ამარაგებდა, მათი პრობლემები გულთან მიჰქონდა და მოგვარებაზე ზრუნავდა. განსაკუთრებული ძალისხმევა ჩააქსოვა ველევისა და ხოტევის სკოლების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ირინას ღვაწლი მამის, ვიქტორ გოცირიძის სახელის



სახელს და თვალისჩინივით უფრთხილდება დედის ნათელ ხსოვნას, დედის, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე უდიდესი პატივი სცა, უსაზღვრო სითბო და სიყვარული აჩუქა, იზრუნა, რათა ავადმყოფისთვის სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა, მაგრამ მსახვრალმა წუთისოფელმა დარია ხელი და ქალბატონი ირინას სული თავისთან წაიყვანა. 2016 წელი ქალბატონი ირინასთვის უკანასკნელი გაზაფხული აღმოჩნდა.

გიორგის კი დაუტოვა მოგონებების წუსხა, რომელსაც ღირსეულმა შვილმა ოქროს საკინძეზე ასხმულს გულში მიუჩინა ადგილი. დღეს მისი ერთადერთი საზრუნავი დედის და ბაბუის ხსოვნის უკვდავყოფა და მარადიულობაა.

მშობლიურმა კუთხემ პატივი მიაგო ბატონი ვიქტორ გოცირიძის ხსოვნას და 2001 წლის 6 თებერვლის ბრძანების თანახმად, ხოტევის არასრულ საშუალო სკოლას თბილისის მეტროპოლიტენის ფუძემდებლის, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, თბილისის საპატიო მოქალაქის, ვიქტორ გოცირიძის სახელი მიენიჭა.

აღნიშნულმა სკოლამ სახელოვანი მამის ღირსეული შვილი, ქალბატონი ირინა გოცირიძე სკოლის 1000 წლის იუბილესთან დაკავშირებით ხოტევის საპატიო მოქალაქედ აირჩია.

ნინო რახვიაშვილი



აშოქანილი სიზინის სკიპრიძან

სიტყვათა

მოსდგენილი წაყვრობა

ვეფხია გავაშელი

- ◆ „...პირველობისთვის ომობენ უკანასკნელი კაცები“.
- ◆ „ფრთხილად იცხოვრე ადამიანო, საიჭიოში ყველა საქმე იხსნება“.
- ◆ „რაც ზეცაში გადაწყდება, მიწაზე არ შეიცვლება“.
- ◆ „სამუაროს ღმერთი კომპიუტერით მართავს და აპროგრამებს“.
- ◆ „პოლიტიკა ფონს გასვლის ხელოვნებაა“.
- ◆ „პაიკებს უყვართ (და შვენით) საჩენ ადგილზე დგომა“.
- ◆ „რაც გეზარება, ის გეძალბება“.
- ◆ „ძილი - წასვლაა იმ ქვეყნად, რათა მობრუნდე დილისთვის“.
- ◆ „სულის სიზმარია ხორციელი ყოფა“.
- ◆ „ნელა მავალს საკუთარი ფეხის მტვერიც გაასწრებს“.
- ◆ „ამ ქვეყნად იმიტომ მოვედით, რომ... წავიდეთ“.
- ◆ „როდის ვიქნებით მიწაზე კაცნი ღმერთის საცერში გაცრილნი ნეტავ?!“
- ◆ „ლუკმა მქონდეს არსამყოფი, ოღონდ მყავდეს გასაყოფი“.
- ◆ „სახუმაროა ეს ცხოვრება გვერდ-ხედიდან “ - *ვალერიო ლობჯანიძე*.
- ◆ „სახელმწიფოში არწივი ხარ, სახელმწიფოსთან ბარტივით ხარ“.
- ◆ „ვისაც მონობა შეუძლია, მბრძანებელიც ის ხდება“.
- ◆ „მეფე ყოველთვის არის პირველი კაცი სახელმწიფოში“.
- ◆ „შენზე ძლიერს თუ სადავეს ახსნი, გადაგთელავს და გაინავარდებს“.
- ◆ „ბევრი, ვეებერთელა სხეულები გადათქირა დროის ნაბიჯებმა“,
- ◆ „სადაც დაიბადე იყავი იქ! - რადაც დაიბადე იყავი ის“.

სხარტულები

- ◆ „...ცემით, ვირებსაც სცემენ, მაგრამ, არცერთი ჯერ ბედაური არ გამხდარა“.
- ◆ „არა“! ვერა“! - ქართველები საქართველოს ვერ მოჰკლავენ“.
- ◆ „შხამი დავთესე, მოვიდა მადლი და მე გავიგე... ტირანთა ყადრი!“.
- ◆ „სააქო, საიქოს თარგზე არის მოჭრილი“.
- ◆ „რასაც დათესავ აქ, იმას მოიმკი იქ“.
- ◆ „ადამიანები შემოქმედებით მივლინებაში არიან ამ ქვეყნად მოსულნი“.
- ◆ „მიემგზავრება ყველა ჩვენგანი, წარსულის გავლით საიქოსკენ“.
- ◆ „დასაწყისისკენ მიდის მსოფლიო და... მივა უთუოდ“.
- ◆ „თანამდებობა, უმეტესად მდაბალთა საქმიანობაა...“
- ◆ „უკუღმა კეთების დრო გვიდგას...“
- ◆ „ჩვენო საქართველოვ, ვისი ხარ?!“
- ◆ „ცუდის გარეშე ფონს ვერ გადიხარ!“
- ◆ „შრომა აშენებს და ამშვენებს სამყაროს,
- ◆ მათ შორის... შენც!..“
- ◆ „დედა-მიწა გარე-სამყაროს აკვანი და ინკუბატორია!“
- ◆ „დაჯექი! მაგრამ, ფრთხილად! - სკამი მრავალსა სძირავს“.
- ◆ „იაფი სიკეთით არ ფასობ...“
- ◆ „... და აჰა, ისიც მოვიდა, - კაცობრიობის ზამთარი!..“
- ◆ „როდესაც შენ სხვას უკნიდანა სვრი, ამითი შენს თავს უკნიდანა სვრი!..“
- ◆ „ვინც ფეხებით წრეს ვერ ცდება, ამ წრესავით ის ნულია“.
- ◆ „სჯობია დიდ ქართველებთან იქ, დიდ საქართველოში“.
- ◆ „თავმდაბლობით ვერ გადიდდები“.
- ◆ „ბევრისთვის დედა-მიწაზე ყოფნა აუცილებელია“.
- ◆ „საცოდავი გვირგვინები ვის თავებზე აღარ იდგნენ“.
- ◆ „სხვისი სიმაღლე შენ რას გარგია“.
- ◆ „გველი ყველგან არის, მაგრამ ყველგან არ სჩანს...“
- ◆ „რა მალე ავიწყდება ადამიანს ადამიანი“.
- ◆ „სიცოცხლის კვანძი სიკვდილში იხსნება!“
- ◆ „მთავრობა ხალხთან მტყუანი, სახელწიფოსთან მართალია“.
- ◆ „ზოგი მონობითა დიდდება და მდიდრდება!..“
- ◆ „სიკეთის თესვა სარისკო საქმიანობაა, _ შეიძლება ჩაგძიროს“.
- ◆ „კვებნა არაფრის მაქნისების ხელობაა...“
- ◆ „რას იტყვის ხვალე სამშობლო შენზე, სამშობლო, რომელსაც ჰყიდი!..“
- ◆ „გზა მიდის, მაგრამ ვინღა მიჰყვება ამიკანკალეს სული ბრიყვებმა“.
- ◆ „სახუმაროა ზოგის ყოფნა ამ ქვეყანაზე.“
- ◆ ძალლივით მცხოვრებს თავი მოაქვს, როგორც კეისარს“...
- ◆ „სიკვდილს სიცოცხლე არ სწყურია“
- ◆ სიკვდილი სიცოცხლის დასტურია“.
- ◆ „ბატოსნება ყველა სიკეთის საძირკველია“.
- ◆ „რაც არ მოგვდგამს ტრადიციულად, ნუ გვექნება ამბიცია“.
- ◆ „დაჯექი! - მაგრამ, იქ არა! - იქ ბევრმა კარგმა მიქარა!“
- ◆ „დაუთმე! - მაგრამ, შენ შენი გზით წადი!“
- ◆ „რაც შეიძლება ნაკლები დახარჯე, მეტისთვის დააგროვე!“
- ◆ „სოკრატეს: - ღმერთად რომ არ გიწამეს ქრისტეში განმეორდი...“
- ◆ ექვთიმეს: - „იმ საგანძურზე დიდი, შენ გახდი საქართველოსთვის.“

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირში ჟურნალისტები დააჯილდოვანს

ღონისძიება ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ოფისში გაიმართა.

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და სანდოების, ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის პაატა ნაცვლიშვილს, ნუგზარ რუსაქას, შახვალად აივაზოვს, ბინათ მამადოვს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება მიანიჭათ.



კიდევ ერთი წარმატება ნინო რეხვიაშვილის შემოქმედებაში.

ახლად გამოცემული წიგნის „რაჭის ქრონიკის“ წარმატებისა და ქართული ჟურნალისტიკის ნაირფეროვნებაში შეტანილი წვლილის, რაჭისა და სამეგრელოს ძირძველი კულტურის წარმოჩენისათვის, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მიერ დაწესებული პირველი პრემია დამსახურებულ ჟურნალისტს ნინო რეხვიაშვილს მიენიჭა.



საქართველოს სხვა სპორტისტი, საქართველოს დამსახურებული სპორტისტი ლევან უსუბუნიძე და აკაკი ბერიძის შილა ქვლეშიძე 27 აპრილის იაჭის საჯარო დაწესებულება და იაჭის განვითარების ფონდის შექმნის ინიციატივის გამოვლანს.





9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა. 1945 წლის 8 მაისს ვერმახტის კაპიტულაციის შემდეგ ევროპაში მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, 9 მაისი კი ფაშიზმზე გამარჯვების დღედ გამოცხადდა.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანია, იტალია და იაპონია ანარმოებდნენ დამპყრობლურ ომებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ. მათი მთავარი მოწინააღმდეგეები იყვნენ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთის რესპუბლიკა, რიზენტროპ-მოლოტოვის პაქტის დარღვევის შემდეგ საბჭოთა კავშირი და იაპონიის პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები.

ომმა იმსხვერპლა 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის 20 მილიონამდე მშვიდობიანი მოსახლის. ომის სულისკვეთება გაჟღერებული იყო მძლავრი იდეოლოგიზმით. ამან ურიცხვი სამხედრო დანაშაული და მშვიდობიან მოსახლეობაზე სისტემატიური ძალადობა გამოიწვია, რომელიც გენოციდშიც კი გადაიზარდა.

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში იყო გერმანიის მიერ წამოწყებული დამპყრობლური და გამანადგურებელი ომი აღმოსავლეთში „საარსებო გარემოს“ მოპოვების მიზნით. გერმანიის საგარეო პოლიტიკის სავარაუდო სქემის ძირითად კომპონენტებს შეადგენდა კავშირი იტალიასა და იაპონიასთან; ბრძოლა გერმანიისთვის გამანადგურებელი შედეგების მომტან ე. წ. „ებრაულ მსოფლიო შეთქმულების“ წინააღმდეგ; გერმანიის საბოლოო მიზანი იყო მსოფლიოში გაბატონებული პოზიციის მოპოვება.

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში გერმანიამ დაიწყო 1939 წლის 1-ელ სექტემბერს, 4 საათსა და 45 წუთზე ვერმახტის პოლონეთზე თავდასხმით. თავდასხმის

გამართლების მიზნით გერმანულმა მხარემ მოაწყო რამდენიმე ინციდენტი. ყველაზე ცნობილი მათ შორის იყო პოლონურ სამხედრო ფორმებში გამოწყობილი „სს“-ის წევრების თავდასხმა 31 აგვისტოს რადოსადგურ გლაივიცზე, რომლის დროსაც მათ პოლონურ ენაზე ეთერში გადასცეს პოლონეთის მიერ გერმანიისადმი ომის გამოცხადების ცნობა.

1941 წლის 22 ივნისის დილას კი ვერმახტის 149 დივიზიამ (მათ შორის ყველა გერმანული სატანკო და მოტორიზებული ძალები) გადალახა სსრკ-ის საზღვრები. 2 დივიზია შეტევა ანარმოებდა ფინეთიდან, 8 სტაციონირებული იყო ნორვეგიაში, 1 – დანიაში, 38 დივიზია დასავლეთ ფრონტზე მოქმედებდა, 2 იბრძოდა ჩრდილოეთ აფრიკაში და 7 – ბალკანეთზე. მიხედვად ოპერატიული ინფორმაციისა, ნითელი არმიის საშუალო და დაბალი რანგის სარდლობა გერმანელთა თავდასხმას მოუმზადებელი შეხვდა. უამრავი საბჭოთა მეტრძოლი სსრკ-ის საზღვრის გასწვრივ რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის განწევს გარეშე დანებდა მარშით მიმავალ გერმანელებს.

1942 წლის 19 ნოემბერს დაიწყო საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა სტალინგრადთან (სტალინგრადის ბრძოლა 1942-1943). 1943 წელს კურსკთან ბრძოლებში (კურსკის ბრძოლა 1943) ფაშისტური გერმანიის ჯარების განადგურების შედეგად მოხდა ძირითადი გარდატეხა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში. ფაშისტური გერმანია იძულებული გახდა გადასულიყო სტრატეგიულ თავდაცვაზე. საბჭოთა არმიამ დაიწყო ფართო შეტევა მთელ ფრონტზე. 1943 ზაფხულსა და შემოდგომაზე გაათავისუფლეს დონბასი და მარცხენა ნაპირის უკრაინა, გადალახეს დნეპრი და დაიწყო

ბელორუსიის გათავისუფლება. 1942 შემოდგომიდან ერთგვარად გააქტიურდა დიდი ბრიტანეთი და აშშ-ის სამხედრო მოქმედება. 1942 ოქტომბრის ბოლოს დაიწყო ინგლისის მე-8 არმიის (სარდალი გენერალი მონტგომერი) შეტევა ჩრდილოეთ აფრიკაში. ელ-ალამაინის ბრძოლაში (1942 წლის 23 ოქტომბერი - 4 ნოემბერი) გამარჯვების შემდეგ ინგლისის ჯარები 3 თვის განმავლობაში უტყვევდნენ გენერალ-ფელდმარშალ რომელის ჯარებს აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ და გავიდნენ ტუნისის სამხრეთ საზღვართან. 1942 წლის 8 ნოემბერს დაიწყო ამერიკა-ინგლისის საექსპედიციო ძალების (150 ათ.) გადასხმა საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში. მალე მოკავშირეებმა დაიკავეს მაროკო, ალჟირი, შევიდნენ ტუნისში. 1943 ზაფხულში მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს კუნძული სიცილია. სექტემბერს გადასხეს საზღვაო დესანტები აპენინის ნახევარ კუნძულზე (იტალიის კამპანია 1943-1945). საბჭოთა არმიის გამარჯვებები ხელს უწყობდა ევროპის ხალხთა ანტიფაშისტური ბრძოლის აღმავლობას.

1945 წლის თებერვალ-აპრილის I ნახევარში გაანადგურეს მტრის მსხვილი დაჯგუფებები აღმოსავლეთ პომერანიასა და სილეზიაში, გაათავისუფლეს ბალტიის ზღვის სანაპირო დანციგიდან ოდერამდე. გერმანიის წინააღმდეგ მოქმედების კოორდინაციისათვის და ევროპაში ომის შემდეგ წესრიგის დამყარების საკითხებთან დაკავშირებით 1945 წლის 4-11 თებერვალს იალტაში შედგა სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა კონფერენცია (ყირიმის კონფერენცია 1945).

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგობის უკანასკნელი ცენტრი ბერლინი იყო. 16 აპრილს დაიწყო გრანდიოზული ბერლინის ოპერაცია (1945). ჰიტლერის თვითმკვლელობის შემდეგ (30 აპრილი) ადმირალ დენიცის მეთაურობით შეიქმნა მთავრობა, რომელიც ნითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას ცდილობდა. 6-11 მაისს საბჭოთა არმიებმა ჩაატარეს პრალის ოპერაცია (1945). ფართო ფრონტით შეტევის შედეგად საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დაასრულეს ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნების გათავისუფლება. 4 მაისს ხელმოწერილ იქნა აქტი გერმანელთა ჯარების დანებების შესახებ ნიდერლანდში, ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიაში, შლეზვიგ-ჰოლშტაინსა და დანიაში. 5 მაისს დანებდნენ ფაშისტური ჯარები სამხრეთ და დასავლეთ ავსტრიაში, ბავარიაში, ტიროლში და სხვა რაიონებში. 8 მაისს, შუალამისას საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებული კარლსჰორსტის გარეუბანში გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა ფელდმარშალ ვ. კაიტელის მეთაურობით ხელი მოაწერეს აქტს ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ. უსიტყვო კაპიტულაცია

საბჭოთა მთავრობის დავალებით მიიღო საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. ჟუკოვმა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებთან ერთად. ხოლო 9 მაისს საბჭოთა ჯარებმა გაანთავისუფლეს ქალაქი პრაღა.

აგრესიულ სახელმწიფოთა კოალიციიდან, რომელმაც მეორე მსოფლიო ომი გააჩაღა, 1945 მაისში ბრძოლას მხოლოდ იაპონია განაგრძობდა. 17 ივლისიდან - 2 აგვისტომდე შედგა სსრკ-ის (დელეგაციის მეთაური ი. სტალინი), აშშ-ის (დელეგაციის მეთაური ჰ. ტრუმენი) და დიდი ბრიტანეთის (დელეგაციის მეთაური უ. ჩერჩილი, 28 ივლისიდან - კ. ეტლი) მთავრობათა მეთაურების პოტსდამის კონფერენცია 1945 (1945), მიიღეს გადაწყვეტილება გერმანიის დემილიტარიზაციის, დენაციფიკაციისა და დემოკრატიული გარდაქმნის შესახებ. დიდი ბრიტანეთის, აშშ-ისა და ჩინეთის მთავრობებმა წაუყენეს იაპონიას კაპიტულაციის კონკრეტული პირობები, რომლებიც იაპონიის მთავრობამ უარყო, სსრკ-მა, რომელმაც 1945 აპრილში მოახდინა სსრკ-იაპონიის ნეიტრალიტეტის შესახებ პაქტის დენონსირება, დაადასტურა მზადყოფნა ჩაბმულიყო ომში იაპონიის წინააღმდეგ.

6 აგვისტოსა და 9 აგვისტოს აშშ-მა ატომური ბომბები ჩამოაგდო ჰიროსიმასა და ნაგასაკიში, რის შედეგადაც დაიხოცა და დასახიჩრდა 1/4 მლნ-მდე მშვიდობიანი მცხოვრები. 8 აგვისტოს სსრკ-მა ომი გამოუცხადა იაპონიას. 9 აგვისტოს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს საომარი მოქმედება მანჯურიაში განლაგებული იაპონელთა კვანტუნის არმიის (1,2 მლნ. კაცი) წინააღმდეგ. 10 აგვისტოს იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაც. საბჭოთა ჯარებმა სწრაფი შეტევით მოკლე დროში გაანადგურეს კვანტუნის არმია და გაათავისუფლეს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ჩინეთის ნაწილი, ჩრდილოეთ კორეა, კუნძული სახალინი და კურილის კუნძულები. გათავისუფლებული მანჯურია ეკონომიკურად ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული რაიონი, გადაიქცა ჩინეთის რევ. ძალების საიმედო სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად. სსრკ-ის ომში ჩაბმამ და კვანტუნის არმიის განადგურებამ დააჩქარა იაპონიის უსიტყვო კაპიტულაცია, რომლითაც 1945 წლის 2 სექტემბერს დასრულდა მეორე მსოფლიო ომი.

მეორე მსოფლიო ომმა უდიდესი გავლენა იქონია კაცობრიობის ბედზე. გერმანია, იტალია და იაპონია გამოეთიშნენ მსოფლიოს, როგორც ძლიერი სახელმწიფოები. ევროპაში გადამწყვეტი როლი აშშ-ს და მსოფლიოში ახლად გაბატონებულ სსრკ-ს ჰქონდათ მას შემდეგ, რაც 1940 გერმანიამ საფრანგეთი დაიპყრო, ხოლო დიდი ბრიტანეთი უძლური იყო, დაემარცხებინა გერმანია.



მეორე მსოფლიო ომი - ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი იყო კაცობრიობის ისტორიაში.

აზიაში ის დაიწყო მეორე იაპონია-ჩინეთის ომით 1937 წლის 7 ივლისს და ევროპაში გერმანიის თავდასხმით პოლონეთზე 1939 წლის 1 სექტემბერს. საომარი მდგომარეობა ევროპაში დასრულდა 1945 წლის 8 მაისის ვერმახტის კაპიტულაციით, ხოლო აზიაში - 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის კაპიტულაციით.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანია, იტალია და იაპონია აწარმოებდნენ დამპყრობლურ ომებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ. მათი მთავარი მოწინააღმდეგეები იყვნენ: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთის რესპუბლიკა, რიბენტროპ-მოლოტოვის აქტის დარღვევის შემდეგ საბჭოთა კავშირი და იაპონიის პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები.

მეორე მსოფლიო ომის ძირითადი ბრძოლის ადგილი იყო: აზია, წყნარი ოკეანის აუზი, ევროპა და ჩრდილოეთ აფრიკა. საომარი შეტაკებები მიმდინარეობდა აგრეთვე ჩრდილოეთ ამერიკაში (არქტიკა) ალასკასა და გრენლანდიაზე, ახლო აღმოსავლეთში - ერაყსა და ირანში, აღმოსავლეთ აფრიკაში - ეთიოპიასა და სომალიში, აგრეთვე სამხრეთ ამერიკაში (სურინამის დაპყრობა), ტიბეტში (ტოლსტოი-დოლანის მისია) და ანტარქტიდაზეც კი (ოპერაცია ტაბარინი).

მეორე მსოფლიო ომმა იმსხვერპლა 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის 20 მილიონამდე მშვიდობიანი მოსახლის. ომის სულისკვეთება გაჟღერებული იყო მძლავრი იდეოლოგიებით, რამაც ურიცხვი სამხედრო დანაშაული და მშვიდობიან მოსახლეობაზე სისტემატიური ძალადობა გამოიწვია, რომელიც გენოციდშიც კი გადაიზარდა.

მილიონობით ადამიანი დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში, რომლის შედეგები უამრავმა მხატვარმა ასახა, ხშირად საკუთარი გამოცდილების მიხედვით. მეორე მსოფლიო ომმა ყველა სფეროს წარმომადგენელზე იქონია გავლენა, მათ შორის ხელოვნებაზეც. ეს ომი ბევრი ხელოვანის პირადი უბედურების მიზეზად იქცა, ამის კარგი მაგალითია მარკ შაგალი, რომლის ცოლიც 1944 წელს დაიღუპა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგაც მრავალი ადამიანი მაინც ვერ

ივინყებდა, ომის საშინელებებს, რაც ამ პერიოდის მხატვრობაშიც აისახა. შვეიცარიელი მხატვარი ალბერტო ჯაკომეტი, ეულად მდგარი, ჩონჩხად ქცეული ადამიანების ამსახველ სურათებს და მათ ქანდაკებებს ქმნიდნენ. მათ ის "საკუთარი ხედვის გამოხატულებას უწოდებდა" ჯაკომეტის სიფრიფანა, ეული, ფიგურები ომის შემდგომი პერიოდის გაურკვეველ ყოფას გამოხატავდნენ.

ნაცისტები თავიდან ცდილობდნენ ებრაელები

გაეძევიანათ ქვეყნიდან, მაგრამ მათ წასასვლელი არსად ჰქონდათ. ევროპელი ებრაელებისათვის, ჰაიმ ვეიცმანის (ისრაელის I პრეზიდენტი) ცნობილი გამონათქვამით, „მსოფლიო გაიყო ორად: ადგილად, სადაც მათ არ შეეძლოთ ცხოვრება და ადგილად, სადაც არ შეეძლოთ მოხვედრა.“ დევნილებს ზურგი შეაქციეს სხვა ქვეყნებმა. საერთაშორისო კონფერენცია დევნილების შესახებ ევიანში (საფრანგეთი) მოწვეული 1938 წლის ივლისში, აშშ-ს პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის მიერ, დასრულდა სრული დამარცხებით. დომინიკანური რესპუბლიკის გარდა, 32 მონაწილე ქვეყნებიდან არც ერთმა არ მისცა მცირეოდენი შანსიც კი გერმანიიდან და ავსტრიიდან დევნილ ებრაელებს. ამასთან, დიდი ბრიტანეთი ზღუდავდა ემიგრანტების დინებას მისი კონტროლის ქვეშ მყოფ პალესტინაში.

„ნიურნბერგის კანონმა“ 1935 წლის 15 სექტემბრიდან წერტილი დაუსვა გერმანიაში ებრაელების თანასწორუფლებიანობას და ამიერიდან მათ რასობრივი ტერმინებით განასხვავებდა. ანტისემიტურმა ისტერიამ გერმანიაში მიიყვანა 1938 წლის ებრაელთა სინაგოგებისა და მალაზიების მასობრივ გაჩანაგებადმდე, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც „ბროლის ღამე“ (მინის ნამსხვრევთა გამო, რომლითაც იყო მიმოფენილი გერმანული ქალაქები). 1933-1939 წლებში გერმანიიდან და ავსტრიიდან 330 ათასი ებრაელი გაიქცა. დაახლოებით 110-100 ებრაელი დევნილები გერმანიიდან და ავსტრიიდან მეზობელ ქვეყნებში გადავიდნენ, მაგრამ იდევენობდნენ უკვე ომის პერიოდში.

1939 წლის დასაწყისში ჰიტლერმა „4 წლიანი გეგმის შემსრულებელს“ გერმან გერინგს დაავალა მოემზადებინა გეგმა ებრაელების გერმანიიდან განსაადევნად. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისთვის არამარტო გაიზარდა მათი რიცხვი (გერმანიისთვის პოლონეთის მიერთების შემდეგ), არამედ გაართულა კიდევ ლეგალური ემიგრაცია.

ომის დასაწყისისთვის, ნაცისტებმა დაიპყრეს ის რეგიონები, რომელიც ყველაზე მჭიდროდ იყო დასახლებული ებრაელებით - პოლონეთი, ბალტიისპირეთი, უკრაინა, ბელორუსია. მურმანელები დიდ დაუნდობლობას და სისასტიკეს იჩენდნენ ებრაელების მიმართ. 30-იან 40-იან წლებში ნაცისტებმა ჰიტლერის მეთაურობით ექვსი მილიონი ებრაელი გაჟლიტეს. ამ მოვლენას ჰოლოკოსტი ეწოდა. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ჰოლოკოსტი, როგორც მოვლენა არ არსებობდა იმ სახით, როგორც მას საერთაშორისოდ მიღებული ისტორიოგრაფია აღწერს. „გაეროს“ გენერალური ასამბლეა 2005 წლის 21 ნოემბრის რეზოლუციით უარყოფს ნებისმიერ მთლიან ან სანახევროდ უარყოფილ ჰოლოკოსტს, როგორც მოვლენას. 2007 წლის 26 იანვარს კი, ჰოლოკოსტის მსხვერპლთა



სსოვნის საერთაშორისო დღის წინა დღით, „გაეროს“ გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, ჰოლოკოსტის, როგორც ისტორიული ფაქტის გასამართლება. დოკუმენტს დაეთანხმა 103 ქვეყანა 192 გენასამბლეს წევრთაგან.

მსოფლიოს შამორჩა ერთი ებრაელი გომონას ანა ფრანკის დღიური, სადაც კარგად არის გადმოცემული თუ რომორი სისასტიკიძე ეპყრობოდნენ გერმანელები ებრაელებს.

ჯარისკაცის თავადასავალი

1941 წლის 22 ივნისიდან, როცა ჩემთან პოლკოვნიკი ტიხონოვი მოვიდა და მითხრა ის საშინელი სიტყვები „началась война“, ისე რომ ჩემს შვილებს ვერც კი დავემშვიდობე, ხელში იარაღი მიჭირავს. 5 წელია ტყვეების ზუზუნს ვუსმენ და მკვდრების მეტს ვერაფერს ვხედავ. 5 წელია ჩემი ოჯახი არ მინახავს. წელს, ალბათ, ნიკუშა სკოლაშიც შევიდა. როცა ერთი წამით ხმა გაჩერდება თავი სამოთხეში მგონია. გაცვეთილი ფორმა მაცვია და ვიყინები.

როცა უკვე ყველაფერი დამთავრდა და ომი მოვიგეთ, ერთი გაუბედურებული მედალი მომცეს, მაგრამ სულ რო ოქრო-ვერცხლის ყოფილიყო, ახლა ჩემთვის მთავარი შვილების ნახვა იყო, მუდამ ტალახში რომ თამაშობენ, ჩემი ცოლის, თონეში პურს რომ აკრავს და დედაჩემის, სულ რომ მსაყვედურობს. ორი დღე ვიმგზავრეთ, ბოლოს ჩავედით ჩემს სიმონეთში. შორიდანვე შევნიშნე ჩემი ცოლი, რევისტრაცია გავიარე და მასთან მივვარდი, ჩავეხუტე და აღარ ვუშვებდი. ცოლმა მითხრა: მალე წამოდი, ბავშვები გელოდებიანო. მერე ჩემს ძველ მოტოციკლზე შემოვჯექი და ჩქარა, ძალიან ჩქარა მივდიოდით. ასე მეგონა, ყველაფერი დამთავრდა, სახლში ვარ-მეთქი. რა ვიცოდი, თუ ვილაც მხეცი დაგეტაკებოდა. დაგვეტაკა და ისე ძლიერად, რომ წამართვა ის, რისთვისაც ამდენს გაუუძელი. წაართვა დედა ჩემს შვილებს და მომიკლა გული. ის გული, რომელიც მისთვის ცოცხლობდა, ის გული, რომელმაც ომი გადაიტანა, რომ ის ენახა.

უზილვა
კაკობაძე
იზის საღ
ბაჩქალია
მამა...



დათუთან მტკუნალი კაცი

მე და ჩემი უფროსი შვილიშვილი, გიორგი, ალექსანდრო გონსალესის ფილმს „რევენანტს“ ანუ „დაბრუნება“-ს ვუყურებდით, სადაც მთავარ როლს ლეონარდო დიკაპრიო ასრულებს. ფილმში ერთ-ერთი ეპიზოდი, დიკაპრიოსა და დათვის შერკინებაა, რომელმაც კარგად დამანახა ამ საოცარი ორთაბრძოლის მთელი ფილოსოფია. გადავწყვიტე, მკითხველისათვის მომეთხრო ნამდვილი ამბავი, რომელიც ჩემს უახლოეს ადამიანს შეემთხვა.

ეს იყო მამაჩემი, შალვა ლობჯანიძე, ერთი უპრეტენზიო, პატიოსანი, შრომისმოყვარე და მართალი კაცი. ყველა შვილს მამა სხვაზე უკეთესი ჰგონია, მაგრამ მე ახლა იმ ასაკში ვარ, მარტო მამაშვილობის პოზიციიდან რომ აღარ ვაფასებ კაცს.

მამაჩემი არაჩვეულებრივმა მშობლებმა, ღვთისნიერმა და ღვთისმოშიშმა ადამიანებმა ქეთევან რეხვიაშვილმა და ილია ლობჯანიძემ გაზარდეს. მისი თანამედროვენი, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ბევრნი არიან და ტყუილის თქმას არ მაპატიებენ.

შალვა ლობჯანიძემ თავისი შეგნებული ცხოვრება გეოლოგიურ პარტიაში მოღვაწეობას შესწირა. მან თავის დროზე ნულუკიდის (ხონის) სპეციალური სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ მინისტრმა გვირაბების (მალაროს) ამფეთქებელ ბრიგადას ხელმძღვანელობდა და თვითონაც კვალიფიციური მემსახტე გახლდათ.

ჩვენი წინაპარი ტრადიციულად მონადირეები იყვნენ და ეს პროფესია მემკვიდრეობით გადაეცემოდა შთამომავლობას. მამაჩემის შემთხვევაშიც ასე მოხდა. ბაბუაჩემი ცნობილი მონადირე იყო და შვილიც მონადირედ გაზარდა.

ღების თემში არის ადგილი, რომელსაც ზოფხითოს და ამასთან ერთად „საარწივიძირს“ ეძახიან. აქ გეოლოგიური პარტია ძირითად საძიებო სამუშაოებს აწარმოებდა. ჩვენს ოჯახს საზაფხულო სადგომი ჰქონდა აგებული და საქონელსაც იქ ინახავდა ზაფხულობით. ეტყობა დათვმა ჩვენსა და მეზობლების საქონელს საფრთხე შეუქმნა. მცხოვრებთა ნაწილმა მამაჩემს თხოვნით მიმართა, საქონელს დათვი შეეჩვია და იქნებ გვიშველო.



შალვა ლობჯანიძე შვილიშვილთან ერთად

მამაჩემს მართლაც შეუმჩნევია საქონლის ახლოს ალპიურ საძოვარზე დათვი, თოფი აუღია და იმ ადგილისაკენ წასულა.

დათვს ძალზე გამახვილებული სმენა და ყნოსვა გააჩნია, თუ ეს მონადირემ არ იცის, ახლოს მასთან ვერაფრით მივა. მამაჩემმა ეს კარგად იცოდა, ამიტომ გაითვალისწინა ქარის მიმართულებაც, ამით ყნოსვის ფენომენი შეზღუდა, ფეხზე უხმაურო ფეხსაცმელი ეცვა და ამიტომ დათვთან მიახლოებაც შეძლო. ეს კი კარგიცაა და ცუდიც, თუ სროლის შემთხვევაში ტყვია სწორად გათვლილ ადგილას ვერ მოახვედრე, დიდი საფრთხის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდე. ძველები ამბობენ, დათვი საშიში ორ შემთხვევაშია: თუ დაჭრილია, ან კბილი სტკივავო.

მე არ ვიცი, იმ შემთხვევაში მამაჩემს რა თოფი ეჭირა ხელში, რომ ესროლა და დაჭრა, ეს ცნობილი ფაქტია. დათვს კიდევ ერთი თვისება აქვს, თუ მას გასაქცევი აქვს, აუცილებლად თავს უშველის და გარბის. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. დაჭრილი დათვი გაიქცა. მამაჩემი სისხლის კვალს გაჰყვა. ვინც ჩვენს მთებს იცნობს, იცის მარადმწვანე მცენარე „ლეშკები“, რომლის ფოთლები დაფნას წააგავს და მის ქვეშ ყოველთვის არის თავისუფალი ადგილი, დათვსაც იქ შეუფარებია თავი. ნისლში არაფერი ჩანდა. მოულოდნელად მამაჩემი დამალული დათვის ზურგზე აღმოჩნდა, ეს რომ იგრძნო, უკვე გვიანი იყო, ტორებზე შემართული დათვი ძირს დაცემულ მამაჩემს თავზე დაადგა. ეს მხეცი რომ „ჭკვიანია“, ამის თაობაზე ხშირად მსმენია. მან კარგად იცის, რომ ადამიანზე საშიში მისთვის თოფია, ამიტომ დაჭრილმა დათვმა მამაჩემს თოფი გამოგლიჯა, გადაამტვრია, შორს მოისროლა და მერე მოიცალა მონადირისათვის. მამაჩემს გამოსავალი აღარ დარჩა და შეება დათვს იმ იმედით, რომ დაჭრილია და იქნებ მისი მორევა შევძლოო, მაგრამ დათვს ჯერ კიდევ საკმაო ძალა აღმოაჩნდა კაცის დასამარცხებლად.

დათვმა თუ „ტორი“ იხმარა, მის ძალას ადამიანი ვერ გაუძლებს. ასე დაემართა ერთ ჩვენს თანასოფელს, ცნობილ მონადირეს, ჟორა გოგრიჭიანს, რომელიც ბილიკზე, მის მიერვე დაჭრილ დათვს მოულოდნელად გადაეყარა. მხეცმა დატორა და გონებადაკარგული ძირს დასცა, შემდეგ მიწა გათხარა და შიგ ჩაფლა. მეორე არაპროფესიონალი მონადირე, რომელიც მას ახლდა, შეშინებული გაიქცა და ხალხს მომხდარი შეატყობინა. მიწიდან ამოიღეს გონდაკარგული,

მოასულიერეს და გადაარჩინეს. საბედნიეროდ, მამაჩემს დათვი კლანჭებით ებრძოდა, სხეულს უფლეთდა და როდესაც სახის დასახიჩრება დაუწყო, მამაჩემმა მთელი ძალით გაიბრძოლა, დათვის გაღებულ ხახაში მარცხენა ხელი ბოლომდე შეეყო, მარჯვენათი ქამარზე დაკიდებული დანა ამოიღო, ერთი ჭრილობა გულის არემი მიაყენა, მეორე კი - ყელში. სასიკვდილოდ დაჭრილი დათვი, თუ სადმე ახლოს მდინარეა, აუცილებლად მას მისცემს თავს. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა, მდინარეში შევარდა. ხალხმა შეამჩნია დათვი რომ წყალს მიჰქონდა და მამაჩემის ძებნა დაიწყო. საშა ლობჟანიძემ (მიქუტიანთი) დროზე მიუსწრო დაფლეთილ მამას, ის სისხლისაგან იცლებოდა. საბედნიეროდ, ექიმებმა შეძლეს მისი „შეკერვა“ და გადარჩენა. მან ამის შემდეგ კარგა ხანს იცოცხლა.

მე არ ვიცი, მამამ რა დაინახა დათვის მზერაში, როდესაც ისინი ერთმანეთს უყურებდნენ, მაგრამ ამ ამბის შემდეგ ძალიან შეიცვალა, ნადირობაზე უარი თქვა. ბოლოს ხელისუფლებამ „ეგერად“ დანიშნა და ცხოველთა დაცვა დაავალა. ბრაკონიერებს ებრძოდა და ბევრ უსიამოვნებასაც გადაეყარა თანასოფელთა თუ სხვათა მხრიდან. ხშირად მეუბნებოდა, ასე თუ არ მოვიქცეით და ხელი არ შევუშალებთ გარეულ ცხოველთა მასიურ ხოცვას, მალე ისინი საერთოდ აღარ იქნებიან და ჩვენს არსებობასაც აზრი დაეკარგებაო.



გივი ლობჟანიძე

იმ დათვის ფიტული დიდხანს ინახებოდა ჩვენს ოჯახში, შემდეგ კი მამაჩემმა ცნობილ მონადირეს, ჩემს მასწავლებელს, ბენო გავაშელს აჩუქა.

დათვთან შებრძოლების თაობაზე მამას საუბარი არ უყვარდა, როდესაც მისი თანდასწრებით ამ ამბის მოყოლას ვაპირებდი, მაჩერებდა, არ გინდა, შვილო! დიდი არაფერი მომხდარა, ნუ მოყვებიო.

ახლა არ ვიცი, რატომ გავიხსენე. იქნებ იმიტომ, რომ შვილიშვილებთან თავი მოვიწონო, მე ასეთი მამა, თქვენ კი სახელოვანი და უშიშარი წინაპარი გყავდათ-თქო. იქნებ მშობლის მონატრებაც არის ფილმის ნახვამ რომ აღძრა ჩემში. არ ვიცი, მაგრამ ერთი კი ცხადია, შთამომავლობამ უნდა იცოდეს თავისი წინაპრის შესახებ. დიდი ილია ბრძანებდა: „შვილმა უნდა იცოდეს მამა სად გაჩერდაო“.

გივი ლობჟანიძე

პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი



მალხაზ
ლომთაძის სიყვარული
უკელახე
ფასეულად

მალხაზ ლომთაძე 1959 წლის 10 იანვარს ამბროლაურის რაიონში სოფელ მეორე ტოლაში დაიბადა.

1975 წელს თბილისის №46-ე საშუალო სკოლა დაამთავრა. ამავე წელს თსუ-ის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტზე ჩააბარა. ეკონომისტის კვალიფიკაცია მიენიჭა. 1984 წელს ქალაქ კიევი ტექნიკურ-ეკონომიკური დაგეგმვის ინსტიტუტში ჩაირიცხა, ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გაიარა.

1988 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა. 2001 წელს საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა კავშირის სერთიფიკატი მიენიჭა.

2009 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი. მალხაზ ლომთაძე სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

რაჭაში მიმავალი მგზავრი, როცა რიკოსს გაივლის, ტყიბულის შემდეგ ნაქერალის უღელტეხილიდან რაჭაში გადადის, საზღვართან განსაკუთრებული გრძნობა

უფლება, სიყვარულით აღვსილი, მის ფერიცვალებას ახდენს. მიწა, წყალი, ლამაზი ბუნება, ოჯახის წევრები, ასაკოვანი დედა და ტრაგიკულად გარდაცვლილი მამის საფლავი. 1991 წელს რაჭაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად ლომთაძეების სახლი დაინგრა, ბიჭიკო ლომთაძე ნანგრევებში მოყვა. სრულიად ჯანმრთელი სტიქიურ მოვლენას ვერ გადაურჩა. ტრავმირებული დედა სულიკო ლომთაძე მკურნალობის შემდეგ სრულფასოვან ცხოვრებას დაუბრუნდა. დღეს, ლომთაძეების მშობლიურ კერაზე აღდგენილ სახლში ბუხრიდან კვამლი ამოდის. დედა შვილის მოლოდინშია.

მცირეწლოვანი მ. ლომთაძე მშობლებმა თბილისში გამოამგზავრეს, მას ბებია ზრდიდა. ბავშვს უცხო გარემოში ადაპტაცია არ გაძნელებია, წარჩინებით დაამთავრა №46-ე საშუალო სკოლა. სპორტმა მის ცხოვრებაში განსაკუთრებული კვალი დატოვა. დიდ ფეხბურთელად თავს არ მიიჩნევს, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა დაამთავრა, სპორტმა ბევრი კარგი მეგობარი შესძინა, 1975 წელს თბილისის „სპარტაკში“ ჩაირიცხა, სადაც 5 წელი ითამაშა. 1998-2002 წლებში საფეხბურთო კლუბი „თბილისი“-ის პრეზიდენტი. როცა ცხოვრების

გზაგასაყარზე დადგა, სწავლას მინიჭა უპირატესობა და სამეცნიერო მოღვაწეობა აირჩია. მალხაზ ლომთაძე 18 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, ყველა პუბლიკაცია დაბეჭდილია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

1979-1989 წლებში სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოში“ ყველა ეტაპი გაიარა: იყო ტექნიკოსი, უფროსი ტექნიკოსი, ინჟინერი, წამყვანი ინჟინერი, საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსის მოადგილე, საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსი. 1989-2007 წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსის, ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა. 1998 წელს რაჭის ხელმძღვანელობის მონდომებით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სტუ-ს რაჭის ფაკულტეტი დაარსდა, რომლის დეკანი მალხაზ ლომთაძე იყო. სტუდენტები პირველ კურსზე ზოგად საგნებს სწავლობდნენ, აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებზე წარჩინებით ჩაირიცხნენ და ტექნიკური უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრეს.

1991 წლის 29 აპრილს, როცა რაჭაში მიწისძვრა განმეორდა, მალხაზ ლომთაძე სტუ-ში საფინანსო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა. პატრიოტმა რაჭველებმა მამუკა კაციტაძემ, პრორექტორმა მერაბ ჯაფარიძემ და მალხაზ ლომთაძემ სპეციალური ჯგუფი შექმნეს, რაჭველ სტუდენტებთან ერთად ამბროლაურში ჩავიდნენ, ადგილობრივები მაცხოვრებლები კარგებით და საკვები პროდუქტებით უზრუნველყვეს. 2007 წლიდან მალხაზ ლომთაძე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დაინიშნა. ამ პერიოდში საქართველოს მასშტაბით საგადასახადო და საბაჟო შენობებს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, ახალი შენობები აშენდა.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საგადასახადო ინსპექციის შენობის აგებაში მალხაზ ლომთაძემ დიდი წვლილი შეიტანა. ძმა - სოსო ლომთაძე ძირძველი რაჭველია, ნიკორწმინდელ ქალბატონ მაია კანდელაკთან და ორ შვილთან ერთად დამოუკიდებლად, მამის აშენებულ სახლში ცხოვრობს. და - დარეჯან ლომთაძე

სოფელ თლულში არის გათხოვილი, დონაძეების რძალია. დედმამიშვილებს ტრადიციების ერთგულება მშობლებმა ჩაუნერგეს, ისინი შვილებს საქმის სიყვარულს, ოჯახის დაცვას ასწავლიდნენ.

2012 წლიდან მალხაზ ლომთაძე სტუ-ს აუდიტის სამსახურის უფროსია. სპორტული მიზანდასახულობა და ჟინი სამეცნიერო მოღვაწეობაშიც დაეხმარა. არაერთი დიპლომის მფლობელს სურს აქტიური საქმიანობით დაიტვირთოს.

მეუღლეს ლაურა ლომთაძეს რაჭა ძალიან უყვარს. შვილები სოფიკო და მალხაზი რაჭაზე „არანორმალურად“ შეყვარებულები არიან. სოფიკომ სტუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტი დაამთავრა, საბანკო სფეროს დაუფულა, „კორსტანდარტ ბანკში“ და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში მუშაობდა, ამჟამად, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტში საქმიანობს. მალხაზმა სტუ-ს ჰუმანიტარული ფაკულტეტი დაამთავრა, საერთაშორისო ეკონომისტის კვალიფიკაცია მიენიჭა. აღმოსავლური ბრძოლების სახეობებში მიაღწია წარმატებას.



სოფელ მეორე ტოლაში 250 კომლი ცხოვრობდა, კავკასიონის მთაზე შეფენილ ლამაზ ბუნებაში მალხაზ ლომთაძემ ლალი ბავშვობა გაატარა, ეს პერიოდი მისთვის დაუვიწყარია. დღეს, იქ საყვარელი დედა ელოდება, რომელმაც შვილის წინსვლისთვის თავი არ დაზოგა. მალხაზ ლომთაძემ მისი იმედი გაამართლა, დღეს, კი, წარმატებული ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება.



აშლინცია ამბროლაურის ავტოსადგომი

გიჟმაყი მარტი განრისხებული ბობოქრობს, კავკასიონიდან მონაქროლი ცივი ჰაერი ძვალსა და რბილში ატანს. ბინდდება. ამბროლაურის ავტოსადგურში თითოთოროლა ადამიანს თუ ნახავთ. ვილაცა შემთხვევით გამვლელს ელოდება, რომ სამადლოდ გზად გაიყოლოს, ვილაც კიდევ გამომლაპარაკებელს ეძებს. მეც მათ შორის აღმოვჩნდი. ონში მივდივარ, ამბროლაურამდე სამარშრუტო ტაქსით ჩავედი. დეიდას დავურეკე, ვთხოვე მანქანა გამოეგზავნათ, რომ სახლამდე მივსულიყავი. მოლოდინში ერთი საათი გავიდა. მცივა, მაგრამ ჩემს კუთხეში ვარ, ჩემს ხალხში და მუნჯად ყოფნას არ ვაპირებ. მართალია ვერავინ მიცნო, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. აქაურებს თვალში უცხოდ მოვხვდი და გამოლაპარაკება სცადს.

— სად მიბრძანდებით, ქალბატონო?

— ონში მივდივარ, — ვპასუხობ, თან ვეკითხები, — რა ხდება ბატონო ამბროლაურში, რა იგრძენით ახალი ხელისუფლების პირობებში, როგორ არის საქმე?

— ეჰ, ჩემო დაო, — მეუბნება ასაკოვანი ბატონი, რომელსაც შვილად უფრო შევეფერებოდი, ვიდრე დად, — მთელ ქვეყანას უჭირს და ჩვენ როგორ ვიქნებით კარგად, მაგრამ წინა მთავრობას მაინც სჯობიან ეს მეოცნებეები არიან, თუ რაღაც რომ ქვიათ... — ამბობს, თან კოლოფიდან ბოლო ღერ სიგარეტს იღებს და ასანთით ცეცხლს უკიდებს, არც ახლა ყვავის ცხოვრება, მარა, მაინც ყველაფერი ხომ შედარებითია. მთის კანონი რომ მიიღეს, იცი რას წერენ შიგნით? — მეკითხება და მოჭუტული თვალებით მიყურებს.

— არა, ბაბუა, არ ვიცი, რაო, რას წერენ?

— რაო და შვილებს თუ გააჩნთ, ასე და ისე დაგეხმარებითო.

— მერე ეგ ცუდია?

— რა არი კარგი, მე ვერც შვილს გავაჩენ და ვერც ბიზნესს დავიწყებ, ჩემისთანა ხალხს რას გვთავაზობენ, რომ დარჩენილი ორი დღის წუთისოფელი გავვიხანგრძლივონ? — არაფერს, არაფერს, ჩემო დაო.

— გამგებელი ვინ არის? — ვეკითხები.

— ოჰ, ღმერთმა გაუმარჯოს, ჩვენი ბიჭიკოს ბიჭია, ლომთაძის. საწყალი მამამისი მიწისძვრის დროს ნანგრევებში მოჰყვა და გარდაიცვალა, იცი, ბიძია რა დიდი მიწისძვრა იყო ჩვენთან? — მარა შენ საიდან გეცოდინება, ჩაილაპარაკა თავისთვის, 1991 წელს აქ ცოდვა-მადლი ტრიალებდა... თვალზე ცრემლი მოადგა, ამ დროს ძმა დავკარგე, 50 წლის იყო... ეჰ, ამ ცხოვრებას რა ვუთხარი, ჰოდა, გამგებელზე მეუბნებოდით.

— ხო, რა ჰქვია თქვენს გამგებელს?

— მალხაზი, მალხაზი ჰქვია. ძალიან კარგი კაცია, თბილი ადამიანია, ყველასთან შეუძლია საერთო ენის გამონახვა, ცდილობს ყოფა შეგვიმსუბუქოს, დადის სოფელ-სოფელ, გვისმენს და შესაბამისად გვეხმარება კიდევ.

საუბარში გავერთეთ. ჩემს რესპონდენტს მე სრულიად უცხო ადამიანი ვეგონე, რომელიც ონში სტუმრად მივდიოდი, დავემშვიდობე, გულლია საუბრისთვის მადლობა მოვუხადე და ბოლოს ჩემი ვინაობაც გავუმხილე, გაუხარდა, თქვენს ჟურნალებს ხშირად ვკითხულობ, გოჩა ენუქიძე სულ გვიგზავნიდა ხოლმე და არცერთი ნომერი წაუკითხავი არ მრჩებოდაო.

მესიამოვნა, ის რომ რაჭაში „რაჭველები“ უყვართ და მესიამოვნა ისიც, რომ ადამიანი, მალხაზ ლომთაძე, რომელსაც ესოდენ დიდ პატივს ვცემ, რაიონში დიდი სიყვარულით სარგებლობს.

როდესაც კალამს ვიღებ და ამბროლაურზე ვწერ, არ შემიძლია უსაზღვრო მადლიერება

საიმედო კაცი

არ დავაფიქსირო ამავე რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, გორა ენუქიძის მიმართ, რომელმაც განსაკუთრებული თანადგომა გამოიჩინა ახლად ფეხადგმული რედაქციის მიმართ და ოთხი წლის განმავლობაში გამუდმებით მხარში მედგა.

ამას დაემატა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონი მალხაზ ლომთაძის კეთილგანწყობა ჩვენს მიმართ, რომელმაც ჩათვალა, რომ ჟურნალი „რაჭველები“ რაჭველი ხალხისთვის აუცილებლად ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო და მისი ხელდასმით მუნიციპალიტეტს ყოველ თვიურად 100 ცალი ჟურნალი მიეწოდება. რა სჯობია, როდესაც ღვანლს გიფასებენ, მხარში

გიდგანან და გრძნობ, რომ შენი შემოქმედება ვილაცისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

ასე, რომ ჩემი ხანმოკლე აუდიენცია ამბროლაურის ავტოსადგურში დამთავრდა, მაგრამ სათქმელი კვლავ ბევრი მაქვს, რომლის ვექტორიც სწორედ მალხაზ ლომთაძისკენაა მიმართული.

ალბათ იკითხავთ, რატომ გადავწყვიტე ამ ბატონზე წერილი გამეკეთებინა. პასუხი მარტივია: — მაღლიერი ადამიანების ნაამბობმა ნელ-ნელა ჩემ ცნობიერებაში მოამწიფა აზრი, რომ ორიოდე სიტყვით ბატონ მალხაზს მაძლობა ვუთხრათ იმ კეთილგანწყობისა და წმინდა ადამიანური მიდგომის თუ თანადგომისათვის, რასაც ის მშობლიური ხალხის მიმართ იჩენს.

ხალხის თვალით დანახული გაგებელი

დალი დარახველიძე

გაზეთ „ამბროლაურის მოამბის“ რედაქტორი

— ბატონ მალხაზს მხოლოდ სამი წელია ვიცნობ, პატივს ვცემ მის განვლილ გზას, იმასაც, რომ ანგარიშს უწევს და აფასებს ადგილობრივ პრესას, სამსახურეობრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ გუნდთან ერთად გულით უნდა საქმის კეთება, არის კომუნიკაბელური. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მის პიროვნულ თვისებებში ყველაზე მეტად ვაფასებ მოქალაქეთა მიღებისა და მოსმენის კულტურას.

თამაზ ბაციკაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი

— მალხაზი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 1989 წელს გაერთიანება „ანალიზ-ხელსაწყოდან“ სულ ახალგაზრდა მოვიდა, რექტორის, აკადემიკოს გ. ჩოგოვაძის მოწვევით და საკმაოდ სერიოზული სეგმენტი საგეგმო-საფინანსო განყოფილება ჩაიბარა.

სულ მცირე ხანში დაიმსახურა ავტორიტეტი თანამშრომელთა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის. 1991 წლიდან კი უკვე ეკონომიკისა და ფინანსების სამმართველოს უფროსი გახდა. საუკეთესო მეგობარი, მზრუნველი მამა და მეუღლე, ყარაჩოღელი კაცი, თავისი პროფესიის ზედმიწევნით მცოდნე. ყოფილი პროფესიონალი ფეხბურთელი, რომლის სიყვარული დღემდე აქვს შემორჩენილი. ჩვენს უნივერსიტეტში, მეგობრების წრეში მან ერთი კარგი ტრადიცია დაამკვიდრა: პირველი თოვლის მოსვლას მის ოჯახში რაჭული ლორითა და „ხვანჭკარით“ აღვნიშნავდით.



2007 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გადაიბირა და მეტად საპასუხისმგებლო სამსახური ჩააბარა, იგი შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დაინიშნა. იქ მუშაობის პერიოდში არ შეწყვეტილა მისი ზრუნვა სტუ-ს პრობლემებზე.



ხოლო 2013 წელს კვლავ დაბრუნდა ჩვენთან შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსად, თუმცა სულ ცოტა ხნით. როგორც ცნობილია, იგი დღეს ამბროლაურის გამგებლის პოსტზე მოღვაწეობს და ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება უკვე მოასწრო, თუმცა წინ დიდი გზა აქვს გასავლელი.

მინდა წარმატებით სვლა ვუსურვო ქვეყნისა და მისი რაიონის სასიკეთოდ.

დილაჰარდისა დავითულიანი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

— ლამაზია ჩემი სოფელი ბარეული, მაგრამ უგზობობა, უწყობობა და უხიდობა მის სილამაზეს ეშხს უკარგავდა. ასეთ მდგომარეობაში დახვდა სოფელი ბარეული ბატონ მალხაზ ლომთაძეს, როცა მან გამგებლის რანგში დაინიშნა მუშაობა. ბატონი მალხაზის ადამიანურმა, კაცთმოყვარე გულმა, ჭკუამ და გონებამ (იგი კარგი მენეჯერი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი), გაითვალისწინა რა სოფლის მდგომარეობა, ჯერ შემოვლითი გზა მოხრეშა, შემდეგ მონვეული სპეციალისტების რჩევა გაითვალისწინა და სოფელში კაპიტალური ხიდი ააგო.

გასაკეთებელი დარჩა ხიდამდე მისასვლელი გზა და წყალსადენი. მჯერა, რომ იგი ამ დაპირებასაც, სხვათა მსგავსად, პირნათლად შეასრულებს, რადგან ვიცი, რომ მის კაცურ სიტყვას საქმე აუცილებლად მოჰყვება.

დიდ გალაკტიონს დავესესხები და ბატონ მალხაზს ვეტყვი:

„ვინც წრფელი გულით,
 პატიოსნებით,
 რაიმეს შექმნის,
 იყო და არის
 შემოქმედი
 ახალი ქვეყნის“.





მალხაზ ლომთაძე

კაცურ-კაცობის სიმბოლო

გივი სისხარულიძე

მწერალი და მსახიობი

ძალიან კარგია, როცა ადამიანი გონებით ცხოვრობს, მაგრამ თუ გონებას გული არ ახლავს თან, ნებისმიერი მისი ქმედება ნულის ტოლი ხდება. ასევე ძალიან კარგია, როდესაც ადამიანი საქმეს გულით აკეთებს, მაგრამ გულით გაკეთებულს თუ გონი არ ახლავს, ეს ქმედება სრულყოფილი ვერ იქნება!

ბედნიერებაა, როდესაც გული და გონება იდილი-

ურად არის შერწყმული ერთმანეთთან. რაც შეეხება ბატონ მალხაზს, მის ქმედებებს, გულთან და გონებასთან ერთად დამატებული აქვს ქართველი კაცის რაინდული თვისებები. ამიტომ არის ის, როგორც მეგობრებში, ასევე საზოგადოებაში აღიარებული და მიღებული კაცი. პირადად ჩემთვის, მალხაზ ლომთაძე კაცურ-კაცობის, სიყვარულის და შენდობის სიმბოლოა.

მადლობა უფალს, რომ ჩემს სამშობლოს ასეთი რაინდი ადამიანი აჩუქა.

ილარიონ მჭედლიშვილი

ვეტერანი ფეხბურთელი

მალხაზი? — უჰ, რამდენი რამ მაქვს სათქმელი... როგორც გარეგნულად არის ლამაზი, მოხდენილი ბიჭი, ასევეა შინაგანადაც. ჩემს გუნდში თამაშობდა, დაცვაში იყო. ძლიერი, ხისტი მოთამაშე გახლდათ, მონინალმდეგეს მისი შიში ჰქონდა. ჩემს ყველა

რჩევას პირნათლად ასრულებდა. მონესრიგებული, კობტა ბიჭი იყო.

მალხაზზე უსაზღვროდ შემიძლია ვისაუბრო, მის კაცობაზე, ვაჟკაცობაზე, არასდროს ვავინწყდები, მისგან ყოველთვის სიტბოს და სიყვარულს ვგრძნობ.

ანზორ მაისურაძე

ჩემდა გასაკვირად, აღმოჩნდა კაცი, რომელსაც გული შესტიკვა თავის ქვეყანაზე და ხალხზე. ეს ის კაცია, ვინც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დატოვა და მშობლიურ კუთხეს მიაშურა. იქ, გამგებლის პოზიციიდან გამომდინარე დღე-ღამეში ოცი საათი შრომობს და რაიონის საკეთილდღეოდ უამრავ სასიკეთო პროექტს ახორციელებს.

ჩემი სოფლის მაგალითზე შემიძლია გითხრათ: ზემო ღვარდიაში, სადაც წყალი გვენატრებოდა, დღეს ეს პრობლემა ყველა ოჯახს მოხსნილი აქვს. სოფლის სასაფლაოს, წყალი რომ არასდროს ღირსებია, დღესდღეობით ეს საკითხიც მოგვარებულია. მიმდინარე წელს იგეგმება სოფლის ინფრასტრუქტურის მონესრიგება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სოფელმა ტრაქტორი დაკარგა, ვილაცას ურავში დაუმაღავს.

მალხაზმა კი იგი იპოვა და ახლა ნაწილების შექენაზე ზრუნავს ტექნიკურად გამართული ტექნიკა დაუბრუნოს სოფელს.

თითქმის ყველა სოფელში მიმდინარეობს აღმშენებლობითი სამუშაოები. რაიონში 4-5 ახალი, ევროსტანდარტების დონის ბაგა-ბალი აშენდა, ასეთი რამ იქ არასდროს მომხდარა.

ბატონი მალხაზი სამაგალითო მმართველია. მართალია ყველა ის პროექტი, რაც ხორციელდება სახელმწიფო დაფინანსებით კეთდება, მაგრამ საქმე ის არის, როგორ აღასრულებ მას. როდესაც მალხაზს ვკითხე — შვილო, ოჯახი თბილისში გყავს, მარტო მად როგორ ძლებ-მეთქი, მალხაზმა მიპასუხა, — ბატონო ანზორ, საფიქრალადაც ვერ ვიცლი, იმდენი საქმე მაქვსო. მართლაც ასეა, მალხაზი საქმის კაცია. სამაგალითო ადამიანი და ღირსეული პიროვნებაა.

მასალა მოამზადა
ნიკო რეხვიაშვილმა



გივი სისხარულიძე

რამდენი ფერი ჰქონია სიუვარულს

რამდენი ფერი ჰქონია სიუვარულს
რამდენი გასაფხული, რამდენი ზაფხული,
რა მკაცრი ზამთარი გადაუტანია
მაგრამ არ დამჭკნარა გაშლილი ვეხვილი.

ციურ ფერებში დახატულ სიუვარულს
არ ეშინია მძვინვარე ქარბუქის,
ატენილ ჭალებს და წითელ ვაყახოს
მითხარით სიუვარულს ვინ, ან რით დაუშლის.

რადგან სიუვარული თვით არის ქარბუქი,
სიგიჟე, სიშმაგე, გრძნობების თარეში,
ამ შეშლილობამ წმინდა სავანისა
რამდენჯერ ჩახედა სიკვდილს თვალებში.

ეთერ კაკულიას

ჩემს სულში იჯდა
როგორც ვაყახო ჰურის ეანაში,
მე ის დამაკლდა როგორც დუშაში
მოთამაშეს ნარდის თამაშში,
ვით სირინოზი, უძღერდა ქალაქს,
უყვარდა: მხატვარს, ჰოყტს და დალაქს,
ის არ მომკვდარა,
მხოლოდ მისი სმა დააკლდა ქალაქს.
დაჭკნა ვაყახო, მოკვდა ვარდი,
მორჩა თამაში,
შემომეცალნენ მეგობრები თამაშ-თამაშში,
იაქესავით ჩავიკეტე საკუთარ თავში.
მიუცურავ ნავით მდუმარე ტბაში,
არსაით ისმის ბრაუო და ტაში,
სიჩუმე სუფევს ცარიელ ნავში,
მარტო ვარ, როგორც ობოლი ბავშვი.
როგორც სანთელი ის, ისე ჩაქრა,
როგორც მოვიდა, ისევე გაქრა.



საფლავებს შორის იყო დუმილი,
ქითსის სონეტებს
მაგონებდა ირემარება,

სასაფლაოდან სასაფლაომდე

საფლავებს შორის იყო დუმილი,
ქითსის სონეტებს მაგონებდა იდუმალება,
ალბათ შევიცნობ, როცა იქნება
სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლო სად იმალება.

ერთი საფლავი იყო მოკლილი,
სისუფთავისგან ის ლაპლაპებდა,
ალბათ ჰატრონი ჰყავდა
ძლიერი ამა ქვეყნისა.

გვერდით საფლავი, გადანგრეულ მოაჯირიდან,
გამელელს შევლას ეკედრებოდა,
კარგად იცოდა, უნატრონოდ მიტოვებულს,
თუ რა ელოდა,
მას სასაფლაოს გაიმეორა მუნატრონე ესიზღებოდა,
რომლის ბრძანებით მესაფლავე
მისკენ ნაზავს ეზიდებოდა,
მას სომ დამშლელი არავინ ჰყავდა
და ამიტომაც ეზიდებოდა, ეზიდებოდა და ეზიდებოდა.

როცა საფლავი ნავით გაივსო,
მესაფლავემ ჩუმად, თავისთვის ჩაიქირქილა,
აქ მოაჯირი ვის სჭირდება, რისთვის არისო?
უროს ერთი ძლიერ მოქნევით
მოაჯირი გადაანგრია და საფლავი სევდით აივსო.

ცოტაც აცადეს და როცა მსსნელი
არსით გამოჩნდა.
მესაფლავეს ერთი ფრანა ისევ წამოცდა
- ახლა დრო არის,
უნატრონო მიცვალებული
ჩემს სოფელში სუფთა ჰაერზე გადავასვენო
და მის მაგივრად,
მდიდარი ვინმე რომ ჩავასვენო.
ასეც მოიქცნენ, ცხედარის ძვლები
რადცა უუთში გადაასვენეს,
მერე მანქანით, თბილისიდან
სადღაც წაიღეს,
მიწა გათხარეს და
ჩაასვენეს.

ესეც ასეო, თქვა მესაფლავემ,
გაბურძმვულ წვერზე
მოისვა ხელი.
ასეა, მძაო,
ასეც იქნება,
მაცდური არის
კაცთა მოდგმის
წუთისოფელი!

კვიი სინარულიძე

წმიდა აქვთიმე აღმსახეზი (ახეხანიძე)

„დიდება შენდა, უფალო იესო ქრისტე, ძალო ცხოვრებისა ჩემისაო, რამეთუ რომელი არა ვიცოდი, მადლითა შენითა ვისწავლე, და რომელი არა შემეძლო, შემძლებელ მყავ დაწერად წიგნისა ამისა მხიარულებით... და აწ მშრომელი წარვალს, ხოლო ნაშრომსა ამას შეგვედრებ შენ, რათა ჰგვიბდეს ერთა შორის ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

ილუმენ ექვთიმე კერესელიძის მინაწერი სანოტო ხელნაწერზე



ერთად თბილისში დააარსეს უფასო „საღმრთო წიგნთ-საკითხავი“, რომლის მიზანი მოსახლეობაში მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცება და ძველი ქართული საეკლესიო გალობის შესწავლა და გავრცელება იყო. „საღმრთო წიგნ-საკითხავს“ სულიერ ხელმძღვანელობას უწევდა წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე (1907).

ძველ ქართულ საეკლესიო გალობას საძმოს წევრები სწავლობდნენ ცნობილი მგალობლის, თავად მელქისედეკ ნაკაშიძისაგან, რომელიც ათონის წმიდა მთის ქართველთა სავანეში იყო განსწავლული.

1890-იანი წლებიდან მაქსიმე შარაძემ და ესტატე კერესელიძემ წმიდა ილია მართლის შუამდგომლობით შეიძინეს სტამბა, რომლის საშუალებითაც ინტენსიურად შეუდგნენ საღმრთო წიგნების ბეჭდვასა და გავრცელებას.

მაქსიმეს და ესტატეს მიმონერა ჰქონდათ ათონის წმიდა მთაზე ქართველთა სავანის ბერებთან და მათგან ივერთა მონასტრის წიგნთსაცავიდან გადმონერილ წმიდანთა ცხოვრებასა და ქადაგებებს ლებულობდნენ, ბეჭდავდნენ და უფასოდ ავრცელებდნენ. მათ თავიანთი სტამბის საშუალებით ოცდახუთი წლის განმავლობაში დასტამბეს ოთხი ათასამდე სასულიერო შინაარსის სხვადასხვა გამოცემა. ხალხი სამართლიანად უწოდებდა მათ სტამბას „ბერების სტამბას“, რადგან იქ მომუშავე ადამიანები გამოირჩეოდნენ კეთილმსახურებითა და წმიდა ცხოვრებით.

1891 წელს მაქსიმესა და ესტატეს ცნობილმა მომღერალმა და მუსიკოსმა ფილიმონ ქორიძემ, ევროპული სანოტო დამწერლობა შეასწავლა. ესტატე კერესელიძეს განსაკუთრებული ნიჭი და ლამაზი კალიგრაფია აღმოაჩნდა და ამიტომ ფილიმონ ქორიძე მას ანდობდა საგალობელთა სანოტო ხელნაწერების გადათეთრებას.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ძალადობით გაუქმებას სავალალო შედეგები მოჰყვა: იძარცვებოდა და ნადგურდებოდა უძველესი ეკლესიის ფასდაუდებელი საუნჯე. ქართული საეკლესიო

ილუმენი ექვთიმე (ესტატე კერესელიძე) დაიბადა 1865 წელს რაჭაში, სოფელ სადმელში, სოლომონ და მართა კერესელიძეების კეთილმორწმუნე ოჯახში. სადმელის სამრევლო სასწავლებლის დასრულების შემდგომ რაჭაში არსებული მძიმე ეკონომიური პირობების გამო თხუთმეტი წლის ყმანვილი ესტატე გაემგზავრა ჯერ ქუთაისში, შემდგომ - თბილისში, სადაც ერთ-ერთი სასტუმროს მზარეულის თანაშემწედ დაინიშნა მუშაობა. აქ მან გაიცნო წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) ხაზინადარი და მოურავი, მაქსიმე როსტომის ძე შარაძე. მათ სხვა მორწმუნე ახალგაზრდებთან

გალობაც გარდაუვალი საფრთხის წინაშე დადგა. საჩქაროდ უნდა გამონახულიყო გზა და საშუალება ქართული საეკლესიო კილოების დაფიქსირებისა, რადგან ძველი საგალობო დამწერლობის მცოდნენი დღითიდღე მცირდებოდნენ და ეს მრავალსაუკუნოვანი მუსიკალური საგანძური სამუდამოდ იკარგებოდა.

წმიდა მღვდელმთავარ გაბრიელის თაოსნობით 1884 წელს ქუთაისში დაარსებულმა ქართული გალობის აღმადგინებელმა კომიტეტმა შეკრიბა ძველი ქართული გალობის მცოდნე სასულიერო პირები და ერისკაცნი. ფილიმონ ქორიძემ ათასობით საგალობელი გადაიტანა ნოტებზე, რომლის დაბეჭდვა საკუთარი ხარჯებით თავს იდეს ესტატე კერესელიძემ და მაქსიმე შარაძემ.

1907 წელს, წმიდა ილია მართლის მონამებორივი აღსასრულიდან ექვსი თვის თავზე გარდაიცვალა მაქსიმე შარაძე. ეს უდიდესი დანაკარგი ესტატე კერესელიძისთვის აუნაზღაურებელი დარჩა. დაღონებულ ესტატეს განსაცდელი უერთგულესი მეგობრის დაკარგვისთანავე ეწვია - მარტოდ დარჩენილ მოღვაწეს სტამბისა და მისი ქონების გაყოფას სთხოვდნენ; მისდა სავალალოდ ქონების ჩამონათვალში უძვირფასესი ხელნაწერებიც შედიოდა, რომელთა ნაწილი ჩამოართვეს და უცნობი მიმართულებით წაიღეს. საბედნიეროდ, სანოტო კრებულები საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთსაცავში აღმოჩნდა, რომლის ხელმძღვანელი იმხანად წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) იყო.

მალე ესტატე კერესელიძემ აურნალ „შინაური საქმეების“ რედაქტორის, მღვდელმონაწამე სვიმონ მჭედლიძის დახმარებით სტამბა და ხელნაწერები ქუთაისში გადაიტანა. სამწუხაროდ, არსებული მძიმე ვითარების გამო მათი თანამშრომლობა არ შედგა. ქუთაისში ესტატემ კვლავ სცადა სანოტო კრებულების დაბეჭდვა, მაგრამ უბინაობის გამო გაიძარცვა ყუთები, და დამწერებულმა მხოლოდ რამდენიმე მათგანს მიაგნო ქუთაისის ბაზარში ხორცის გამყიდველთან.

მალევე, ბახმაროში ყოფნისას გარდაიცვალა დიდი მოღვაწე ფილიმონ ქორიძე. მთელი ოცდაათი წლის ნაშრომი - ათეულობით ხელნაწერი ექვთიმეს პასუხისმგებლობაში დარჩა. მხოლოდ მან იცოდა ამ საგანძურის რეალური ფასი.

ესტატე კერესელიძემ საბოლოოდ აირჩია მონაზვნობის გზა, რომლისათვისაც სიყრმიდანვე განიზადებდა თავს. მას სულიერ ხელმძღვანელობას უწევდა იმ დროის უდიდესი მოსაგრე, ღირსი მამა ალექსი შუშანიძე.

1912 წლიდან იმერეთის ეპისკოპოსის გიორგი ალადაშვილის კურთხევით, ესტატე კერესელიძე მორჩილად განწესდა გელათის მონასტერში, ხოლო ამავე წლის 23 დეკემბერს ღირსი ექვთიმე მთაწმინდელის სახელზე ბერად აღკვეცა ილუმენმა ანთიმოზმა. 1913 წლის მაისიდან იგი იეროდიაკონია. ამდროიდან იწყება ყველაზე დაძაბული მოღვაწეობა მამა ექვთიმესი. გელათი იყო ის ადგილი, სადაც ჯერ კიდევ ტიპიკონის სრული წესების დაცვით სრულდებოდა ღვთისმსახურება. მამა ექვთიმემ გადაწყვიტა, ზედმინეწით მოწესრიგებინა ფილიმონ ქორიძის ნოტებზე გადატანილი საგალობლები და ტიპიკონის მიხედვით გაეწყო. ამისათვის მრავლად შეიძინა სანოტო ფურცლები და შეუდგა უმძიმეს და უდიდეს საქმეს - ხელნაწერი ნოტების მოწესრიგებასა და გადათეთრებას.

1917 წელს მამა ექვთიმე იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის მიერ ხელდასხმული იქნა მღვდელმონაზვნად. 1918 წელს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, მისი ავტორის - კოტე ფოცხვერაშვილის თხოვნით, მამა ექვთიმეს მიერ იქნა დასტამბული.

დადგა ავადსახსენებელი 1921 წელი. ქუთაისში კომუნისტური ხელისუფლების მოსვლისთანავე მამა ექვთიმე დაპატიმრებულ იქნა, როგორც ახალი წყობისათვის არასაიმედო პიროვნება. საბედნიეროდ, ბრალდების არქონის გამო რამდენიმე თვეში იგი გაათავისუფლეს. ეს იყო უმძიმესი პერიოდი დევნისა და შევიწროებისა;



გელათის ბერები ყოველდღე ელოდნენ შეურაცხყოფასა და დარბევას. მღვდელ-მონაზონი ექვთიმე ამ წლებშიც კი აგრძელებდა საგალობლების კრებულებზე მუშაობას. „მე ამაში ვპოულობ დიდ სიმდიდრეს, ეს ოქრო-ვერცხლზე და თვალ-მარგალიტზე უძვირფასესი საუკუნო საუნჯეა!.. მე წარმოდგენილი მაქვს ჩემი თავი, როგორც ოქროსმჭედელი და თვალ-მარგალიტის დამლაგებელი! მე ხანდახან გაკვირვებაში მოვდივარ: ვინ მოუშვა ჩემამდე ეს ძვირფასი სიმდიდრე, რომ მე უღირსი ამაში ხელს ურევ!“ - ამბობდა წმიდა მამა.

1923 წელს უღმერთო მთავრობის მიერ გელათის მონასტერი გაუქმებულად გამოცხადდა. გელათის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილს მისცეს რამდენიმე დღის ვადა, რათა სამუდამოდ დაეტოვებინა მონასტერი. შეძრწუნებულმა მამა ექვთიმემ იმის შიშით, რომ საგალობელთა ხელნაწერები არ განადგურებულიყო, ორმოცამდე უზარმაზარი კრებული ქუთაისში საიმედო ოჯახში გადაამალა.

1924 წელს კომკავშირლებმა საძირკვლამდე დაანგრეს წმიდა მეფის, დავით აღმაშენებლის სახელობის უზარმაზარი ტაძარი. იმავე წელს უღმერთოთა ხელით დახვრეტილ იქნა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი ერთგულ სასულიერო პირებთან ერთად. სასულიერო პირთა დევნა-განადგურების ისტერიამ პიკს მიაღწია.

მამა ექვთიმემ გადაწყვიტა დაეტოვებინა გელათი და ხელნაწერები შედარებით უსაფრთხო ადგილას გადაეტანა. განსაცვიფრებელია, ასეთ დროს, როდესაც თბილისი-ქუთაისის გზაზე სრულიად უმიზეზოდ მოიკლა ათასობით ადამიანი, როგორ მოახერხა მამა ექვთიმემ ერთი ურემი ხელნაწერების ქუთაისიდან მცხეთაში მარტომ-მარტომ გადატანა.

ამ პერიოდში მღვდელ-მონაზონი ექვთიმე განწესებულ იქნა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, სადაც საგულდაგულოდ გადაამალა სასწაულებრივად გადარჩენილი ხელნაწერები. 1925 წელს, როდესაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი მეტეხის ციხეშია დატყვევებული, ხოლო საქართველოს ეკლესიის

უკლებლივ ყველა მსახური საშინელ დევნას განიცდის, საღმრთო განგებულებით მამა ექვთიმე კვლავაც აგრძელებს საეკლესიო გალობის იშვიათი ნიმუშების გადარჩენას. სვეტიცხოვლის ტაძრის წიგნთსაცავში მან მიაკვლია ძლისპირთა უძველეს ნივთირებულ კრებულს. ძველი ქართული სამუსიკო დამწერლობის საუკეთესო მცოდნე მოღვაწემ ეს საგალობლებიც ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე გადაიტანა.

1929 წლიდან მამა ექვთიმე ზედაზნის მონასტერში განაწესეს. მან ახლა აქ აიტანა ქართული გალობის ხელნაწერები და დიდ რკინის ყუთებში საიმედოდ დაცული მინაში დაფლა.

თბილისის „მეტეხის“ მუზეუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა - დავით დავითაშვილმა, რომელიც ფარული ქრისტიანი იყო, ბეთანიის ბერებთან - წმიდა აღმსარებლებთან არქიმანდრიტ იოანე მაისურაძესა და გიორგი მხეიძესთან საუბრისას მწუხარება გამოთქვა ფილიმონ ქორიძის მიერ ჩანერილი ძველი ქართული საგალობლების დაკარგვის გამო და როდესაც მათგან შეიტყო, ხსენებული ხელნაწერები ზედაზნის მონასტერში ილუმენ ექვთიმესთან ინახებო, იმავე დღეს ზედაზნის მონასტრისკენ გაემურა.

შეიქმნა კომისია ისტორიკოსებისა და მუსიკოსების შემადგენლობით, რომელმაც ამ ხელნაწერების განსაკუთრებული ფასეულობა და დიდი ისტორიული მნიშვნელობა დაადასტურა. მამა ექვთიმემ 1935 წლის ნოემბერში სახელმწიფო მუზეუმს გადასცა 34 სანოტო კრებული, რომელიც 6000-მდე საგალობლისგან შედგებოდა. ყველა ეს საგალობელი ამჟამად დაცულია კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

1944 წლის ზამთარში ზედაზნის მონასტერში მარტო მცხოვრები მამა ექვთიმეს სანახავად ასულ სამთავროს მონასტრის დედაებს წმიდანი უკვე ავადმყოფობისგან დასუსტებული დაუხვდათ, მამა ექვთიმემ დალოცა დეებები და მშვიდობით შეჰკვდრა სული უფალს. იგი დაკრძალეს ზედაზნის მონასტრის ეზოში, საკურთხეველთან.





უშრნალი „რაჭველავი“ იწყებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევების მიმონილვას, რომელიც ეხება რაჭის წარსულს. ჩავთვალეთ, რომ ამ რუბრიკის გზამკვლევი უნდა ყოფილიყო აკადემიკოსი იქვთიმა თაყანიშვილი, რომელმაც 1919-1920 წლებში იმომზაურა რაჭაში და მომავალ თომბას ოქროს ფონდის სახით რაჭის ეროვნული სიმდიდრე შემომგვინახა.

მამ ასე, ვინყავთ 1919-1920 წლის არქეოლოგიური მოგზაურობის დოკუმენტების ბეჭდვას, რომელიც დიდად საყურადღებო ფაქტბას გვამცნობს ზემო რაჭაში ბანთავსებულ არქიტექტურულ ძეგლებზე, მოხატულობებზე, ოქრომჭედლობის ნიმუშებზე და ხელოვნების სხვა ნივთებზე, წარწერებზე და მათში მოხსენიებულ ისტორიულ პირებზე.

იქვთიმა თაყანიშვილის ნაშრომებზე დიდი წვლილი შეიტანეს რაჭის ისტორიული წარსულის კვლევებში.

იქვთიმა თაყანიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში

ერთი ნაწილი რაჭისა, ნიკორ-წმინდა, ქელიში, აგარა, ხოტევი, ამბროლაური, ბარაკონი და სორი მე მოვიარე ზაფხულში 1919 წ., ხოლო ამა 1920 წ. ზაფხულში მოგზაურობის მიზნად დავისახე ნახვა დანარჩენი ადგილებისა, სადაც მოიპოება ძველი ეკლესიები და საეკლესიო ნივთები, ტფილისიდან გავემგზავრე 25 ივლისს და პირველად ვინახულე გელათი. გელათიდან გავემგზავრეთ ლეჩხუმის გზით რაჭაში და გავჩერდით ქრებალში. აქედან წავედით ბუგეულში. ამ სოფლის ძველი ეკლესია განუახლებიათ 1836 წელს როსტომ წულუკიძეს და ვასილ სანიკიძეს, მაგრამ შიგნით ეკლესიის კედლებზე საკმაოდ და კარგად არის შენახული ფრესკები მთელი რიგი ისტორიული პირების პორტრეტებითა და სხვა ნივთებისა, საყურადღებო ქართულის ტანისამოსებით და წარწერებით. აქედან წავედით მიქარწმინდას. ამ სოფლის ეკლესიაც გადაკეთებულია ბოლო დროს, მაგრამ შიგნით ინახება რამოდენიმე ძველი ხატი და ჯვარი წარწერებით, რომელნიც ლიტერატურაში ცნობილი არ არიან. შემდეგი სოფელი, რომელიც მე ვინახულე, იყო ქედისუბანი. აქაც ძველი ეკლესია განახლებულია და მხოლოდ რამოდენიმე ძველი საყურადღებო ცუქურთმა მოჩანს მის კედლებზე კირით შეუთეთრებული. შიგნით კედლებზე დაცულია ერთი ფრესკა მაშენებელისა თუ განმანახლებელისა. წარწერა უჩვენებს, რომ ეკლესია განუახლებიათ 1797 წელს. ამავე სოფელში არის მალალ მთაზედ სოფლიდან მოშორებით მეორე ძველი ეკლესია წმინდის გიორგისა მარტო ერთის წმინდის გიორგის ხატი. ქედისუბნიდან გავემგზავრეთ ხონჭიორს. ამ სოფელში ორი ახალი ეკლესია არის. ერთს მათგანში დაცულია ძველი ხატები, ზოგი ძალზე დაზიანებული, ზოგი მოძარცული. შესანიშნავი ყოფილა თავის მინანქრიანი მედალიონებით ჯვარცმის ხატი, რომელზედაც წინეთ ყოფილა 24 მინანქრიანი მედალიონი. ეხლა შენახულია

მხოლოდ ოთხი, დანარჩენი მოპარულია. კიდევ ერთი მინანქრის მედალიონი წმინდის გიორგისა, დაცულია სხვა ხატზედ, ეს მინანქრები ბიზანტიური ხელობის არის და ლიტერატურაში უცნობია.

ხონჭიორიდან გავემგზავრეთ ნამანევში, სადაც საყურადღებო არაფერი არ აღმოჩნდა და იქიდან პატარა ონში. ამ სოფელში ორი ძველი ეკლესია არის, ერთი გადაკეთებული და მეორე დანგრეული. ორივეს გაფუჭებული წარწერები აქვს და ორივე ჩუქურთმებით არის შემკობილი. ამ მხრივ უფრო საყურადღებოა მეორე ეკლესია, რომელშიც ჯერ კიდევ სულ არ დანგრეულა შესანიშნავი ალბასტრით ნაშენი კანკელი ლამაზის რიგისა, იმგვარივე, როგორც არის სავანეში შორაპნის მარაში. პატარა ონიდან დავბრუნდით ქრებალში და იქიდან გავემგზავრეთ წესში და წესიდან ონში. ონის ახალ ეკლესიაში ორი ძველი ხატი ინახება, რომლის წარწერები შუქს ფენენ ღების ეკლესიის ხატების წარწერებს უფრო დაზიანებულად შენახულებს. აქვე არის სახარება ოთხთავი XIV-XV საუკუნისა ისტორიულის მინანქრებით. ონიდან გავემგზავრეთ უწერაში და უწერიდან გლოლაში, სადაც გავსინჯეთ ნანგრევები ციხისა, ორი პატარა ეკლესიისა, ერთი მათგანი საყურადღებოა, ძველი ფრესკებით არის შემკობილი, და აგრეთვე შტატის ეკლესია და მასში დაცული ნივთები. გლოლიდან წავედით ღებში. ეს უკანასკნელი სოფელია რიონზე ზემო რაჭაში. ღების ეკლესიაში მრავალი ხატი და ჯვარი იყო წინეთ. ეხლა ზოგი დაკარგული, ზოგი გაფუჭებულია. სულ მოუპარავთ დიდი პლატინის ჯვარი და ზოგი სხვა ოქროს ნივთები. მრავალ ხელთნანერებიდან, რომელიც აქ ბროსეს დროს იყო, მარტო ორი დაგვხვდა და იგიც სულ დამპალი. აღწუხებთ და გადმოვიდეთ ფოტოგრაფიის საშუალებით ყველა ნივთები და აღვადგინეთ ზოგიერთი გაურჩეველი წარწერები.

ლებიდან გამოვიარეთ ჭიორაში, აქ ეკლესია შედარებით ახალია და შიგ მარტო ერთი იოანე ნათლისმცემლის ხატია საყურადღებო, ჭიორიდან დავბრუნდით ონში და ონიდან გავემგზავრეთ ს. ბარში, მაგრამ აქ არ დავგვიხვდა არც მღვდელი, არც მნათე და არც დიაკვანი და ამიტომ ეკლესია და მისი ნივთები ვერ ვნახეთ. მოვაკითხეთ კიდევ მეორე დღეს, მაგრამ არც მაშინდ ატვიხვდენ, ბარიდან ავედით მრავალძალში. ეს ყველაზე უმაღლესი სოფელია მდებარეობით რაჭაში, ძველი ეკლესია აქ ახალზედ შეუცვლიათ, მაგრამ აღმოსავლეთის კედელი ხელუხლებელად არის დატოვებული შუაში. ახალს ეკლესიაში ჩაუშენებიათ კიდევ ერთი ჩუქურთმიანი სარკმელი თავის წარწერით. ხატები მრავალაღმი ბევრია XII-XVIII საუკუნისა. ყველა გადმოვიღეთ გარდა ერთის წმიდის გიორგის ხატისა, რომლის ჩარჩოდან ამოღება არ მოხერხდა, და გავარციეთ წარწერები. აღმოსავლეთის კედელზედ ეკლესიისა შერჩენილია ძველი ქანდაკებანი და წარწერები.

მრავალძალიდან ჩამოვედით სხვაგვარში, სადაც დაცულია დიდი ჯვარი ძველი რაჭის ერისთავების წარწერით. სხვაგვადან მოვედით ამბროლაურში და იქიდან ლეჩხუმის გზით დავბრუნდით ქუთაისში და შემდეგ ტფილისში, მოგზაურობაში დავყავით სულ 23 დღე. ყველა ნახული არქეოლოგიური ნივთები ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი გადმოვიღეთ ფოტოგრაფიის სასუალებით. აქ უნდა აღვნიშნო, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ეკლესიის განძეულობა დღითი დღე იკარგება, ბევრი რამ, რომელზედაც ცნობა

გვექონდა ლიტერატურული თუ კერძო წყაროებიდან თავის ადგილზედ არ აღმოჩნდა. ხელნაწერები სულ დაკარგულა ან გაფუჭებულა. ჭყონდიდის მიტროპოლიტის ამბროსისაგან მქონდა ცნობა ზოგიერთ ხელნაწერების შესახებ. ეს ხელნაწერები მას ენახა და ზოგი რამ კიდევაც ამოეწერა, მაგრამ ეხლა იქ აღარ მოიპოვებია და უარსაც ამბობენ, რომ ოდესმე ყოფილა. განსაკუთრებით გვინტერესებდა პეტრე ქართველის ცხოვრების ძველი ვარიანტი, რომელიც წინეთ მიქარწმინდაში ყოფილა და დღეს აღარ არის.

დაბოლოს, მადლობას ვუცხადებ ყველა იმ პირთ, რომელთაც ხელი შეგვიწყვეს მოგზაურობის დროს: სიმონ ჭელიძე, მათე გორდეზიანს, ვლადიმირ ფოფხაძეს, სხირტლაძეს და უმეტესად მადლობას ვუცხადებ მიხეილ ლომთაძეს, რომელიც შეგვეგება პატარა ონში, მიიღო ყოველგვარი თავდარიგი, რომ გაეადვილებია ჩვენთვის მოგზაურობა, თვით გვეახლა ყოველგვან და არ მოგვეცილებია, მანამ არ გამოგვისტუმრა. ასეთივე სამსახური გავგინია მან წინა წელში რაჭაში მოგზაურობის დროსაც. ეგვევ არის კორესპონდენტი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, გვანდის ცნობებს ახალაღმოჩენილ ნივთების შესახებ, ლებულობს ზომებს მათი დაცვისათვის. მან ჩმაოგვიტანა ამ რამოდენიმე წლის წინეთ რაჭიდან ძველი წარწერიანი ქვა და სხვა არქეოლოგიური ნივთები.

პროფ. ე. თაყაიშვილი

15 დეკემბერი 1920 წ.

მოგზაურობის პირველი დღე

ღეზი

ღეზი დიდი სოფელია რიონის სათავეში, მთა-რაჭაში. აქედან ფასის მთამდე 25 კილომეტრამდეა. ღეზს ზემოთ რიონზე სხვა სოფელი არ არის, მაგრამ, ეტყობა, წინათ ყოფილა, ვინაიდან მოიპოვება ნასოფლარები და ეკლესიის ნანგრევები. ღეზში ახლა არის ახალი ეკლესია, სადაც გადმოუტანიათ ნივთები ორი გაუქმებული ეკლესიიდან: ღეზისა, რომელიც რაიონის მარჯვენა ნაპირზედ ყოფილა და შოდისა, რომელიც თოვლიან ყინულიანის მთის ძირში ყოფილა, ღეზის მახლობლად მის სამხრეთ-აღმოსავლეთით. საუკეთესო ხატები შოდის ეკლესიას ჰქონებია. ამბობენ, ამ ხატებს ბერები თვით შოდაში აკეთებდნენო. ღეზის ახალი ეკლესია გაუძარცავთ და რაც საუკეთესო და უძვირფასესი იყო, წაუღიათ. მაგალითად: თეთრი ოქროს (პლატინის) დიდი ჯვარი, სიმაღლით 0,35 მეტრი ეს იშვიათი ნიმუში თეთრი ოქროს ჯვრისა საქართველოში. წაუღიათ აგრეთვე მეორე ოქროს ჯვარი და სხვა ნივთები. რაც დარჩენილია, გაფუჭებულია, მოძარცული, ნაგლეჯებად შემონახული. მხატვრობა შებლაღული და ზოგან სულაც გადასული.

საუკეთესო ხატები, ერთის გარდა, შოდიდანაა გადმოტანილი. ყველა „კლასიკური დროისა“ უნდა

იყოს, არა უგვიანეს XII-XIII საუკუნეებისა. ამას გვამცნობს უკეთესად დაცული აშიების მოჭედილობა და შემკულობა.

ასეთია:

1. გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი.

113x76 სმ. ხეზე დახატული, მოოქროვილი ვერცხლით შეჭედილი. ნაჭედისაგან დარჩენილია ფენგები და ეზოს ქვემო ნაწილი. აგრეთვე გაბრიელის შარავანდი. მხატვრობა საკმაოდ დაცულია. ფენგებზე ზემოთ შუაში გამოხატულია საყდარი, ხოლო კუთხეებში თითო ანგელოზი; ქვემოთ — წ წინ მცქლ, წ ეკტრნ, წ რნ; მარცხენა აშიაზე — წ პტრ, წ პლ. ქვემოთ არის ასომთავრული წარწერა:

ქ. ზეცის]ა: ძალთა: ურცთა: შრის: თავო: გბლ:

მეოხ: ექმნ. ნე: ღთსა: მქლს: დ ფურთს: და

ინეს: გარაყნ[იძეთ] ა:დ შვილთა მათ]თა: დღესა:

მას განკითხვისას.

უქარაგმოდ:

„[ქ. ზეცის]ა ძალთა უორცოთა შორის თავო გაბრიელ, მეოხ ექმენ წინაშე ღმრთისა მიქელს და ფურთუს და იოანეს გარაყანიძეთა და შვილთა მათ]თა დღესა მას განკითხვისას“.

2. მიქალ მთავარანგელოზის სატი, იმავე ზომისა, (113x76 სმ) დახატული ხეზე, მხატვრობა ნაბლალულია. ფენგები მოოქვრილი ვერცხლისა, მოჩუქურთმებული, ასევე შარავანდედი ზედა ფენგზე, მედალიონებში წარმოდგენილია ვედრება; ქვემოთ — ნ დმტ. ნ გი, ნთე (უკვე მოშლილია); მარცხენა ფენგზე — ნ ბასილი, ნ მათე. მარჯვენაზე: ნ მარკოზ, ნ ლუკა.

ქვემოთ არის წარწერა:

ქ. ნო მთავარანგელოზო მიქელ; მეოხ: ექმნ:
 ნე: შნ: ქრს ნ... გარენის ძესა: მქლს:
 დ ფურთხს: დ ვნს: და მთა მთთ: დღესა: მას
 განკთხსას: რომ...

უქარაგმოდ:

„[ქ. წმიდაო მთავარანგელოზო მიქელ], მეოხ ექმნ ნინაშე შენ ქრისტეს ნ[აზარეველისა?] გარაყანისძესა მიქელს და ფურთუხს და იოვანეს და ძეთა მათთ დღესა მას განკითხვისას, რომელთა შეამკობინეს სატი ესე]“.

სადაც „წინაშე“-ს შემდეგ მოყვანილია „ხენ: ხრსნ“ ასო შ დედანში გადმობრუნებულია და ამიტომ მიუჩნევია იგი ბროსეს ხ-ად. შემდეგი სიტყვის პირველი ასო ქ-ია და არა ხ.

მომდევნო ასო ნ-ს შემდეგ აკლია, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ აქ „ნაზარეველი“ უნდა იკითხებოდეს. უკანასკნელ სამ სიტყვას ბროსე კითხულობს: „რომელი ხამ ხან“. აქაც იგივე შეცდომა უნდა იყოს, როგორც ზემოთ, ესე იგი გადმობრუნებული შბროსეს ჰგონებია ხ — და ტ ჰგონებია ნ. უკანასკნელი სამი სიტყვა დედანს ამჟამად აკლია. ზემო წარწერებში მოხსენებულნი პირები ამავე რიგით იხსენიებიან.

3. მიქალ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სატი. ფერწერილი, ჩარჩო ვერცხლისა. ძლიერ დაზიანებული. 120x81 სმ. მთავარანგელოზთა ბიზანტიური ტანისამოსი წითელია. მათ ხელი უჭირავთ მრგვალი, ნელსზევითი სურათი ქრისტე ემმანუელისა, ფენგები შემკულია წყვილ-წყვილი ბრონეულის ყვავილებით. სურათებისთვის დატოვებული ადგილები ცარიელია, ზედ წმინდანები წარმოდგენილნი არ არიან.

ქვემოთ ყოფილა ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომლისგანაც ეხლა დარჩენილია მხოლოდ:

..... მცხოვნებლოანგელ.....
მეოსა: მექმენრჯდლ

ბროსეს დროს ეს წარწერა უკეთ ყოფილა შემორჩენილი. იგი ასე კითხულობს:

„წმიდაო მაცხოვარო მაცხოვნებლო, წმიდანო მთავარანგელო...“

...სოფელსაო მეოხ მექმენ... რვი და გაბრიელ გვედრები ცოდვილი...“

...ჯოედიანს ძესა, დღესა მას განკითხსას... სად სულისა ჩემისა, გესმნ...“

...ვის ჩემსას ქრისტეს ღმერთ ...დელთ...“

...მე არჯევნს რო ...ჭედვა ჩემითა ოქროთა, არვის რ...“
 ამ წარწერაშიაც ის ჯოედიანი უნდა იყოს მოხსენებული, რომელიც ონის მთავარანგელოზის სატის წარწერაში იხსენიება.

4. მთავარანგელოზთა სატი მოოქროვილი ვერცხლისა 78x61 სმ. ორთავე მთავარანგელოზს ბიზანტიური ტანისამოსი აცვია და ბურთები და ლაბარუმები უჭირავთ. წარწერები:

„მქლ: მთარი“, „გბლ მთარი“. აშია სხვა დროისაა, ვერცხლისა, უფრო მდარე ხელობისა. ზედა და ქვედა ფენგები მოცილებული აქვს. მარჯვენა და მარცხენა ფენგი მოჩუქურთმებულია ბრონეულის წყვილ-წყვილი ყვავილებით. შუაში გამოხატული ყოფილა თითო მხედარი, მაგრამ მარჯვენა ეხლა გაფუჭებულია, მარცხენაზე იკითხება: „ნი გი“.

5. მთავარანგელოზის სატი, კლასიკური დროისა მოოქვრილი ვერცხლისა, 66x47 სმ. (სურ. 1), წმიდანს ბურთი და ლაბარუმი უჭირავს. გამოსახულება ძლიერ გაფუჭებულია. წარწერისაგან შემორჩენილია ორი ასო: ნი. აშია მერმინდელი ხელობისაა. უფრო მდარე, ლურსმული ქანდაკებით.

მთავარანგელოზთა ეს ხუთივე სატი ეკუთვნის ქართულ კლასიკურ დროს, XII-XIII საუკუნეებს.




სურ. 1

6. მიქალ მთავარანგელოზის სატი ვერცხლისა, 56x43 სმ, აქვს წარწერა: „ნი მიქლ“. მთავარანგელოზს უჭირავს ბურთი და ლაბარუმი. აშია ლურსმული ჩუქურთმით არის შემკული. ამიებზე მთავარანგელოზის რვა მედალიონია. ხელობა სუსტია.

7. გაბრიელ მთავარანგელოზის სატი, 32,5x28 სმ, ვერცხლისა, ტლანქი ხელობისა (სურ. 2). აქვს წარწერა: „ნი გლი“. ქვემოთ, მარცხნივ უწერია:


ნო გრ შე
 ოქო
 მჭედე
 ლი

ე. ი. „წმიდაო გაბრიელ, შეინყალე ოქრომჭედელი“. აშია ლურსმულია, აქვს ოთხი მედალიონი მთავარანგელოზების სურათებით.



სურ. 2

გაბრძელება შემდეგ ნომერში
 (სტილი დაცულია)



„ანსაჲ ისა ან მღაინან, როგორც აჲ, აჲ ძვეყანაჲში“



ბაგი სიორიძე

ლევანდის თანახმად, ინდოეთის მეფის უბრძანებია მთელი ქვეყნიერების „ულამაზისი ხალხი“ (გურულაზი) შეეპირებათ და მასთან მიეყვანათ. ასეც მომხდარა. ინდოეთში მგზავრობის დროს გზაში გაუბიათ, რომ მეფე გარდანიცვალა, ამ დროს კი ის ხალხი, რომელიც მეფესთან მიჰყავდათ, დღევანდელი გურიის ტერიტორიაზე ყოფილან და აქვე დარჩენილან. სწორედ ამიტომაც, იმ ადგილის სახელი გურია გამხდარა. გურია, რომელსაც ნოდარ დუმბაძემ „სიცოცხლის სამოსახლო“ უწოდა. ადგილი, სადაც გარემოს მშვენიერებით აღტაცებული გალაკტიონი შეატყაშა არაერთხელ შეუძახებს:

„წინ მეეტლევ!
ეკ ცხენები გააქანე, გააქანე!
მსურს, რომ კიდევ ერთხელ გნახო
გაზაფხულის მთები მწვანე“.

...
მთები! როგორ შეენის მათზე გაზაფხულის
ბუჩქ-ფოთოლი,
როგორ შეენის ველზე ნამი, გამჭვირვალე,
როგორც ბროლი,
ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუპკრთალი,
რომ ანგელოზს დაინახავს მოდარწავე
კაცის თვალი“...



ბაგი სიორიძე მუშაობისას ერთად

გურია, სადაც აპრილმა თავის ჯადოსნური ფუნჯით გარემო წალკოტს დაამსგავსა, სადაც მისდა უნებურად „კრიმინალური“ გემღერება და მისი ანბანი მხოლოდ აქ იციან, სადაც მასპინძელი კარში გეგებება და ფიალით მშვიდობის სადღეგრძელოს გთავაზობს, სადაც მკვირცხლი და ხალასი იუმორი მართლაც ხასიათის დღესასწაულს გიქმნის. აღტკინებული,



ლელა სიორიძე

შემართებით ჭანჭრობს აედევნები და მოლაღურის სტვენა სამოთხის შეგრძნებას გბადებს, სადაც მასპინძელი გულს გადაგიშლის და უკან წამოსულს სულში სითბოჩაღვრილს გრძნობით გათქმევინებს: „სამოთხეში ვიყავი სტუმრადო“. წამოსვლამდე კი გურული ტრადიციულად გესალმება:

- ჩვენებური ხარ?
- არა, ბატონო, სტუმრად ჩამოვედი.
- სიმღერა იცი?
- არა, ბატონო.
- დალევა თუ გიყვარს?
- არა, ბატონო.

— აბა, ქათამს ხო ტურაც ჭამს! — ხითხითით მოგაძახებენ ჭიშკართან ჩამომსხდარი, ბახმაროდან ჩამომდგარი ნისლის კვამლში გახვეული თეთრი ყაბალახიანი ბაბუები და „ხასანბეგურითა“ თუ „კრიმანჭულით“ გაგისხნიან გულის კარებს, წყლის მაგივრად სანთლის არაყს მოგანვდიან და მშვიდობის სადღეგრძელოს ზღურბლზევე შეგასმევენ.

დადებითი გრძნობით დახუნძლული ოზურგეთის თეატრისაკენ გავემართეთ. ადგილი, სადაც „ნადური“ იმღერება, ადგილი, სადაც „კრიმანჭული“ და „ხასანბეგურა“ ჟღერს, სადაც „ფარცაკაუკუ“ და „კალმახოზა“ წარმოდგენად გვეშლება თვალწინ,

*„ჩემი პაქაჩა გურია,
სულ მთლად სული და გული“
მ. ბაქანიძე*

ადგილი, სადაც უმდიდრესი ფოლკლორული საუნჯეა დავანებული, ადგილი, რომელმაც საქართველოს დამსახურებული არტისტის ომარ ხურციძის საზეიმო საღამოს უმასპინძლა ქართული ქორეოგრაფიის ვარსკვლავთცვენის ბაირალი გახლდათ.

იმ დღეს ოზურგეთში კიდევ ერთი შემოქმედებითი

ვარსკვლავი აკიაფდა. პატარა გურულები ცეკვის ენით ესაუბრებოდნენ სტუმარსა თუ მასპინძელს. დიახ, სტუმრებს. იმ დღეს ოზურგეთს ქორეოგრაფიის კორიფეები სტუმრობდნენ, — ომარ მხეიძე, ფრიდონ სულაბერიძე, თენგიზ უთმელიძე და სხვები, რომლებმაც თავიანთ კოლეგას პატივი მიაგეს და დამსახურებული ქათინაურებით შეამკეს. საღამო მწერალმა, მსახიობმა და ქორეოგრაფმა გივი სიხარულიძემ გახსნა. ამ ყოველივეს წინ ქალაქის მერის ბატონ ბეგი სიორიძის შეხვედრა უძღვოდა, რომელმაც ქალაქში მობრძანებულ სტუმრებს მასპინძლობა გაუნია, ჯერ თეატრის შენობისკენ გაუძღვა, შემდეგ კი, ულამაზესი წარმოდგენის დასასრულს, ტრადიციული, ქართული ვახშამი გაუმართა, სადაც უცხო თვალისთვისაც კი ადვილი შესამჩნევი გახდა, რაოდენ დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს ბატონი მერი თანამოქალაქეებს შორის, მერს მხარს უმშვენიერებს ულამაზესი მეუღლე, ლელა სიორიძე, ნამდვილი ქართველი ქალი, ღიმილიანი, თავაზიანი, ყურადღებიანი, გონმალალი. ქალი, რომელმაც კარგად იცის, რომ თავმდაბლობა ქალისთვის ყველაზე ძვირფასი სამკაულია. აი, ეს ოჯახი მასპინძლობდა უამრავ სტუმარს.

ქართული სუფრის მნიშვნელობა ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, საქვეყნო საქმე ოდითგანვე მეტწილად სუფრასთან წყდება, აქ ვლინდება ადამიანის ზნე და ხასიათი. სწორედ, რომ ეს სუფრა

აღმოჩნდა სარკე ბეგი და ლელა სიორიძეების სულიერებისა და მიზანსწრაფვისა. ბატონ ბეგის დედაქალაქი თავისი კუთხის სიყვარულმა დაატოვებინა, შეჩვეულ კომფორტზე უარი ათქმევინა და თავის ძირძველ გურიაში დაასახლა, იფიქრა, იქნებ მცირეოდენი წვლილი შევიტანო ჩემი მამაპაპისეული საძვალის, ჩემი ოზურგეთის კეთილდღეობის საქმეშიო და ასეც მოხდა. ბატონი ბეგი დღეს ოჯახთან ერთად ოზურგეთში ცხოვრობს, რომ თავის გურულებს შვება მისცეს, იყოს მედიატორი მათსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, აკეთოს საქმე ხალხისთვის, რომლებმაც ის რჩეულად სცნო და ნდობა გამოუცხადა.

აი, ეს იყო კულტურულ-ტრადიციული ჯანყი გურიაში, ჯანყი სულიერი დღესასწაულისა, ჯანყი ტრადიციების დემონსტრირებისა, ჯანყი კეთილმოსავი გურული მასპინძლობისა, რომლის მედროშეობაც სიორიძეების ოჯახმა ითავა.

უკან დაბრუნებისას კვლავ გალაკტიონი მახსენდება:

„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“.

ნინო ჩხვიაშვილი

მუჟიღოთ, ქაღაჟონო ღაჩეჟან

დარეჯან რეხვიაშვილი-გავაშელი დაიბადა 1950 წლის 10 ოქტომბერს ონის რაიონის სოფელ ჭიორაში. მისი მშობლები თინა ლობჯანიძე და გიორგი რეხვიაშვილი სოფელში გამოჩენილი და პატივსაცემი ადამიანები იყვნენ. გიორგი დიდი სამამულო ომის გმირი გახლდათ, კუნძულ ტექსელზე ქართველების ცნობილი აჯანყების აქტიური მონაწილე იყო და იმ ნავში იჯდა, რომლითაც ოთხმა ქართველმა ლა-მანშის დანაღმული სრუტე გადაცურა. ომიდან დაბრუნების შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა როგორც ჭიორაში, ასევე თბილისის საშუალო სკოლებში.

დარეჯანმა დაამთავრა ჭიორის საშუალო



ოჯახმა დიდი ტკივილი განიცადა, 1993 წელს, საყვარელი სიძე, აჩიკო ჩაგელიშვილი აფხაზეთის ომში დაიღუპა. 2003 წელს, 62 წლის ასაკში გარდაიცვალა მეუღლე, მურმან გავაშელი. დარეჯანმა იტვირთა დიდი ოჯახის გაძღოლა. იგი თავის სამი შვილის გარდა, ზრდიდა ხუთ შვილიშვილს: ლუკას, არჩილს, გიორგის, ნიკოლოზს და მარიამს, რომლებსაც ბებია ძალიან უყვარდათ.

მაგრამ ნელ-ნელა, ქალბატონ დარეჯანს ჯანმრთელობა შეერყა.

მიუხედავად რამოდენიმე ოპერაციისა, ამო აღმოჩნდა ექიმებისა და ახლობლების ძალისხმევა და 65 წლის ასაკში უკურნებელი სენის მსხვერპლი გახდა. ნავიდა ლამაზი ქალბატონი ჩვენგან და არდავიწყების შარავანდედით მოსილი გაუდგა გზას მარადიული სასუფეველისაკენ.

დარეჯან გავაშელი ოჯახისა და ახლობლებისთვის გაუნელებელ ტკივილად იქცა.



სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის სავაჭრო ტექნიკუმში სამრეწველო საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1969 წელს დარეჯან რეხვიაშვილმა თავის მომავალი მურმან გავაშელს დაუკავშირა, მათ სამი შვილი შეეძინათ: დავითი, ქეთევანი და ლაშა. მურმანის და დარეჯანის სტუმართმოყვარე ოჯახი წლების განმავლობაში ემსახურებოდა საშობლოს და თავის მშობლიურ რაიონს.

დარეჯანი წლების განმავლობაში ონის რაიონულ არქივში, შემდეგ ონის №2 ბაგა-ბაღში აღმზრდელად მუშაობდა.



დარეჯან და მურმან გავაშელები

აყვანასკნული გაზაფხული

გულიკო ბერაია-ჩიკვილაძისა



გიორგობის თვეში დაიბადა და გაზაფხულზე ჩაესვენა მზე შემოდგომისა, მზე მისებრ ლამაზი, თავადური ზნე-ჩვეულებისა და გარეგნული იერ-სახისა, მზე მისივე მანტია მოსხმული, შუქთამფრქვევი და ნატიფი ქალბატონის გულიკო ბერაია-ჩიკვილაძისა.

სამწუხაროა და ძნელად დასაჯერებელი ესოდენ დიდი სილამაზე მიწის საფარით იყოს დაფარული, მაგრამ რას ვიზამთ, იტყვიან „საქმე აქვს ჩვენებრ ბევრსაო“...

ქალბატონი გულიკო მუხრან მაჭავარიანის სიტყვების არ იყოს, იყო „ქალი დედა, ქალი საღამო, ქალი წვიმა“, ქალი სიცოცხლის დაუმრეტელი წყარო, ბუნების საჩუქარი, კოლხეთის მიწაზე დაფრთიანებული დედალი ხოხობი, ყელმოღერებული სიკეკლუტით რომ უტკერდა სამყაროს და თავის ოჯახს, თავის დიდების კვარცხლბეგს.

გულიკო ბერაია-ჩიკვილაძე დაიბადა 1945 წლის 25 ნოემბერს, ქალაქ სოხუმში, ინტელიგენტის ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჰიგიენის ეპიდემიოლოგიის პროფპათოლოგიის სპეციალობით. ასევე დამთავრებული აქვს სამედიცინო კოსმეტოლოგიის სრული კურსი. წლების მანძილზე მუშაობდა სულხან-საბას სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში და საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში ჰიგიენის პედაგოგად. პროფილაქტიკისა და აღდგენითი თერაპიის ცენტრში ექიმ-ეპიდემიოლოგად. სიცოცხლის ბოლო წლებში კოსმეტიკისა და მასაჟის შემსწავლელი კურსების ხელმძღვანელი იყო.

ჰყავს მეუღლე ბუდუ-მიხეილ ჩიკვილაძე, ორი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

მამა გაბრიელის გამონათქვამები

ღმერთი არ იძლევა დიდ ნიჭს დიდი განსაცდელის გარეშე. ღმერთი ყველას იმ ზომით მოგვივლენს განსაცდელს, რისი ატანაც შეგვიძლია. შესაბამისად გვეძლევა ღვთის მადლიც.

ნათლული რომ წარწყმდეს და ჯოჯოხეთში მოხვდეს, ნათლიასაც მოეკითხება, თუ როგორ და რამდენად იზრუნა მან თავისი ნათლულის სულის გადარჩენისთვის.

ზიარებისთვის პირველად მისული კაცი, მღვდელმა, მიუხედავად მისი ცოდვების სიმძიმისა, აუცილებლად უნდა აზიაროს.

ნუ მოგერიდებათ, რომ ყოველთვის და ყველაფერს ჯვარი გარდასახოთ. ჯვარშია მთელი ძალა.

საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს. ქართველ ერს მიცემული აქვს სიყვარულის ნიჭი და თუ არ გამოიყენა ეს ძალა, როგორც იონა წინასწარმეტყველი გადაყლაპა ვეშაპმა, ისე მოუვა მასაც. თქვენი ნიჭი რწმენაა, ამრავლეთ იგი და სხვებსაც ეს უთხარით.





ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებმა სოციალურად დაუცველმა 105 ოჯახმა 50 ლარიანი, ხოლო უფასო სასადილოთი მოსარგებლე 8 ბენეფიციარმა 30 ლარიანი სააღდგომო სასურსათო სასაჩუქრე პაკეტი მიიღეს.



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ინიციატივით ლიხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ლიხეთში რეკონსტრუქტია ჩატარდა ბოგირს. პროექტის ღირებულებამ 28000 ლარი შეადგინა. სარეკონსტრუქციო სამუშაოები განახორციელა შპს "ამბროლაურის კომუნალური 2009".



რეგიონის ზმა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ ლომთაძემ და მისმა მოადგილემ ნიკოლოზ კენჭაძემ სოფელ გორში წყალმომარაგების სისტემის სარემონტო სამუშაოები დაათვალიერეს. სოფელ გორს წლებია უკვე წყალმომარაგების პრობლემა აქვს. რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა პროექტი 126160 ლარით. პროექტის დასრულების შემდეგ ინის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გორის მოსახლეობა სრულად იქნება მომარაგებული სასმელი წყლით.



დანიელების სტუმრობა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გრძელდება. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მალხაზ ლომთაძემ დანიელი სტუმრების ჯგუფს ქელიაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ თლულში საჯარო სკოლაში უმასპინძლა. დანიელებმა ბავშვების ხელნაკეთი ნივთები დაათვალიერეს და სპორტული შეჯიბრებას დაესწრნენ.



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა, გამგებლის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში და სპეციალისტებთან ერთად სოფლის კრებებში მიიღეს მონაწილეობა, სადაც მოსახლეობა „სოფლის პროექტის“ ფარგლებში პრიორიტეტებს ირჩევდა. თვრამეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში არჩეულია „სოფლის პროექტის“ ფარგლებში გასაკეთებელი პროექტები.





საქართველოს ყველა კუთხეს თავისი ხიბლი და ლაზათი აქვს, მაგრამ განსაკუთრებით რაჭა მიყვარს. მიხარია, როცა ჩემი კუთხის შვილს შევხვდები. სისხლით ნათესავები თუ არა, შორეული ახლობელი აუცილებლად აღმოვჩნდებით ერთმანეთისა.



თეთრინყაროს რაიონის სოფელი ასურეთი მართლაც პატარა რაჭაა. მახსოვს, გივი დვალის ოჯახი რა სიყვარულით გვიღებდა კარს. ამჯერად ასურეთში ნანა დვალმა მიმასპინძლა. აქაურები ისეთი სიხარულით მხვდებოდნენ, რომ თავი შინ მეგონა. რამდენი წელია ეს ხალხი ამ კუთხეში ჩამოსახლეს და მამა-პაპათა წეს-ჩვეულებები, სიტობო და სიყვარული დღემდე შეინარჩუნეს. ლამაზი რაჭული კილო და საუბარიც არ დაუკარგავთ. აქ უბნებიც კი რაჭულია - გვარების მიხედვით დასახლებული. ჩემს მოგვარეებს - ამბროლაურის რაიონის სოფელ თლულიდან ნამოსულ ცაგურიშვილებსაც შევხვდი.

როცა რაჭველებმა გაიგეს, ჟურნალისტი თანაც ჩვენებური გვსტუმრობსო, ყველას მოუნდა

გულისნადების გაზიარება.

ბატონ ჩარლი მეტრეველს სოფელში ჭკვიან კაცად და საქართველოს ისტორიის კარგ მცოდნედ იცნობენ. ის პროფესიით არქეოლოგია.

„ისტორიულ წყაროებში სოფელი ასურეთი XVI საუკუნიდან მოიხსენიება. გადმოცემის თანახმად, ამ სოფელში მეთუნეობას, მეჭურჭლეობას მისდევდნენ. საქარავნო გზა გადიოდა კოჯრის გავლით და ჩადიოდა მცხეთაში. ჩვენს ასურეთს შუამდინარეთის ასურეთთან არავითარი კავშირი არა აქვს. თურმე თიხის ჭურჭელი, მათ შორის საუცხოო სურებიც გაჰქონდათ სავაჭროდ, ამიტომ სასურეთს ეძახდნენ. დროთა განმავლობაში ასურეთად იქცა.

ასურეთულას ხეობაში 25 ნასოფლარია. არქეოლოგიური მონაცემებით, ქ.შ.-მდე IV საუკუნიდან ასურეთი სამაჩვეთში იყო გაშენებული. მიკვლეულია მხედრულწარწერებიანი სამარხი, რომელიც 1703 წლით თარიღდება, ასევე თიხის წყალგაყვანილობა. ჩანს, საკმაოდ დიდი და კულტურული სოფელი ყოფილა.

მოგეხსენებათ, ჭვემო ქართლში, ალგეთის ხეობაში მტერი ხშირად თარეშობდა. ამიტომ უამრავი ქართული გვარი, სოფელი აღიგავა პირისაგან მიწისა. ასურეთი გამონაკლისია. ქართველობა მუდამ ცხოვრობდა აქ, მაგრამ გვარები ერთმანეთს ენაცვლებოდა... ჩვენს წმინდა გიორგის პატარა ეკლესიაში იარალაშვილები არიან დაკრძალულნი. ამ გვარის ჩამომავლები ცნობილი სამხედრო პირები იყვნენ.

ამ მხარეში ერთხანს გერმანელები ცხოვრობდნენ. 1941 წელს გაასახლეს და ორიოდ კვირაში რაჭველების ჩამოსახლება დაიწყო.

ჩანს, ესეც გეგმაზომიერად იყო მოწყობილი, რადგან ალგეთის ხეობას გადაჯიშება ემუქრებოდა. თურმე მთავრობა დაჰპირდათ - ომში არც ერთ იმ მამაკაცს არ წაიყვანთ, ვისი ოჯახიც ასურეთში გადასახლდებოდნენ. პირობა პირობად დარჩა. ერთი თვის შემდეგ 400 ახალგაზრდა გაიწვიეს სამამულო ომში. მათგან მხოლოდ ასი დაბრუნდა.

თავიდან გაგვიჩივრდა აქაურობასთან შეგუება. რომ ჩამოვედით, თეთრიწყაროს რაიონს პედაგოგები აკლდა და ეს პრობლემაც ჩვენ მოვაგვარეთ. ასურეთში თანდათან გაჩნდა პატარ-პატარა უბნები: ნიკორწმინდის, ზნაკვის, ხოტევის, სხვავის, ქლუხორის, კრიხის, სადმელის...

- გენატრებათ თქვენი ფესვები?

- შვიდი წლის ვიყავი, ასურეთში რომ ჩამოვედი. ზაფხულობით დავდიოდით რაჭაში. იქაურობა ფეხითმაქვს შემოვლილი. რა თქმა უნდა, მენატრება, მაგრამ ამ კუთხემაც შემაყვარა თავი.

- როგორ ცხოვრობდით ადრე?

- დიდი სიყვარული და ნდობა გვქონდა ერთმანეთის მიმართ. ახლა გაცივებულია ხალხი. მთელ რაიონში - თეთრიწყაროსა და ასურეთში მხოლოდ კინოთეატრები იყო. ახალგაზრდები იქ ვერთობოდით ხოლმე. გასართობად და თავშესაყრელად ერთმანეთთან დავდიოდით. ვაჩაღებდით ცეკვა-თამაშს, ვთამაშობდით. მეგობრულ შეკრებებს რაჭველები ღამისთევას, ზეთიფაფობიას ეძახდნენ.

- ასურეთში გერმანელების დროს აშენებული ლუთერანული ტაძარიცაა...

- ასურეთში ეს ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი 1878 წელს აშენდა. 5 წლის შემდეგ, 25 აგვისტოს გაიხსნა.

ამ ეკლესიაში დიდი ორგანი ჩამოიტანეს. სამი ორგანი იყო საქართველოში: ასურეთში, თბილისის კონსერვატორიასა და ბიჭვინთაში. ჩვენი ორგანი განსაკუთრებული იყო. დღეს იგი აღარ ჩანს... შემორჩენილია მიუნხენელი მღვდლის წერილი: „თქვენი ზიარების ღვინო მივიღეთ. გთხოვთ, კიდევ 300 ლ შეგვიგროვეთ და მალე ორგანს გამოგიგზავნიოთ“.

ასურეთში მოჰყავდათ შავი ჯიშის ყურძენი „შალა“. მას დიდი გასავალი ჰქონდა უცხოეთშიც. ჩანს, აქაურ გერმანელებს ღვინო ორგანში გადაუცვლიათ.

- დღეს როგორ ცხოვრობთ?

- გაჭირვებით გავვაქვს თავი. კიდევ კარგი, სოფელში სულიერი გამოცოცხლება შეინიშნება. სამების ტაძარი აშენდა. მოძღვარი გვყავს. ტაძრის



ომარ და ნანა დვალეები

პროექტის ავტორია ჩვენებური ლოლი ინსარაძე. მის მშენებლობაში ბატონი დავით ბეჟუაშვილი და სხვა კეთილი ადამიანები დაგვეხმარნენ.

ქალბატონმა **ლილი გოგლიძემ** მიაშობა: „რამდენიმე ხნის წინ სოფლის ახალგაზრდებმა: ილია გიორგობიანმა, ნიკო მეტრეველმა და მათმა მეგობრებმა ასურეთის წმინდა გიორგის ძველი, ნანგრევებად ქცეული ტაძარი აღადგინეს. ამ პატარა ტაძარში განსაკუთრებულად გიორგობას - 23 ნოემბერსა და 6 მაისს - აღვნიშნავთ. მივდივართ წმინდა გიორგის ტაძარში და უფალს შემწეობას ვთხოვთ.“

წინათ ეს ადგილები დაუსახლებელი ყოფილა. დამნაშავეებს აქ - „სამხრეთის ციმბირში“ ასახლებდნენ თურმე. რუსეთის მეფე ალექსანდრე I დროს გუტენბერგის საჰერცოგოდან და ბადენიდან ასურეთში 72 გერმანული ოჯახი ჩამოასახლეს. მეფის რუსეთისგან ამ ხალხს დიდი ფულადი დახმარება მიუღია. სახლებიც აუშენეს. სხვათა შორის, მეზობელი სოფლები - ბოგვი, ენაგეთი, ლოუბანი - ვალდებულნი იყვნენ, მათთვის სახლები აეშენებინათ. თითოეულისთვის მიუციათ 60 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და საქონლის შესაძენი ფული. ძალიან მშრომელები იყვნენ გერმანელები და გაძლიერდა სოფელი, მომრავლდა, მაგრამ 1941 წელს გადაასახლეს... ასურეთიდან 1666 გერმანელი წავიდა.

დროთა განმავლობაში გარჯით ბევრი სასიკეთო შედეგინეთ ჩვენს სოფელს. დაახლოებით 54 დასახელების სანარმო დანესებულება გვექონდა...

ძველ დროს კი მივტირით, მაგრამ მომავალ თაობაზე ცუდს ვერ ვიტყვი. სამების ტაძრის მშენებლობაში თითქმის ყველა ახალგაზრდა მონაწილეობდა. მიხარია, რომ ასურეთში მორწმუნე თაობა მოდის. ეკლესიის მადლით ბევრი ახალგაზრდა დაადგა სწორ გზას.

ასურეთში ერთი საშუალო სკოლა გვაქვს. ჩვენს სკოლაში დადიოდნენ მეზობელი სოფლის ახალგაზრდები. მე გერმანულს ვასწავლი და როგორც შემოდის, ვზრდი ახალგაზრდებს”.

ჩემი მასპინძელი

- ასურეთში დავიბადე და გავიზარდე, - მიამბობს ნანა, - სტუდენტობა თბილისში გავატარე. მერე ოჯახიც შევექმენი, მაგრამ მშობლიური კუთხე არ მიმიტოვებია. აქაურებს ერთმანეთთან მშვიდი და კეთილი დამოკიდებულება გვაქვს. სოფელში ცხოვრობენ: კაციტაძეები, ჯმუხაძეები, კობახიძეები, ჭიჭინაძეები, დონაძეები, ნულუკიძეები, დვალეები, გოცირიძეები, გორდუზიანები, ცაგურიშვილები, გოგილიძეები, გეგეშიძეები, სირაძეები, ბიბილაშვილები, ლობჟანიძეები, მეტრეველები, გურგენიძეები, მურუსიძეები, ჭელიძეები, მასისაშვილები, შარაბიძეები, ბაკურაძეები, დავლიანიძეები, ინასარიძეები, დონხაძეები, ნეფარიძეები, ლაშხები, რატიანები, რეხვიანიშვილები... მოგვიანებით დასახლდნენ მთიულებიც: ნიკლაურები, აფციაურები, ბექაურები... მეზობელი სოფლებიდან შემოვიდნენ: სულხანიშვილები, კენკეზაშვილები, შავშიშვილები და სხვა.

ისე რომ, ასურეთი პატარა რაჭად იქცა. შემორჩენილია რაჭული ტრადიციები.

რაჭველების უმეტესობა გერმანელებისეულ გოთური სტილის სახლებში ცხოვრობს. ქვის კედლები თითქმის ნახევარ მეტრზე მეტი სისქისაა. სარდაფები იმდენად გრილია, რომ საუკეთესოდ ინახავს ღვინოს. ჩემი სახლიც გერმანელებისეულია. დაახლოებით ათი წლის წინ ძველი პატრონი შუა აზიიდან ჩამოვიდა და მოინახულა ეს სახლი.

გერმანელების დროინდელი მარანი, სამკურნალო გოგირდის წყლის აბანო.

რამდენიმე წელია, წმინდა სამების ტაძრის მადლი ტრიალებს ასურეთში. ახალგაზრდულ ტაძარში დავესწარი აღდგომის მსახურებას. იმდენად ამალღებული გრძნობა მქონდა, რომ ეს განცდა კარგა ხანს გამყვა. მეგონა, აღდგომის საგალობელი

ადიოდა ზესთა სოფელში. იმ დღიდან მოყოლებული, ყოველ აღდგომას ასურეთში ვხვდები.

მადლობა უფალს ყველაფრისთვის. მადლობელი ვარ იმისიც, რომ თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში რელიგიასა და კულტურას ვასწავლი. გამოცდილებამ მიჩვენა, თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტი მოძღვრის გვერდით დგომა. აუცილებელია, ბავშვებმა ისწავლონ რელიგიის ისტორია, აუცილებელია მოძღვართან სიახლოვე. ჩვენი მოძღვარი, მამა მიქაელი მთელი სულითა და გულით ემსახურება ასურეთის მრევლს. სიკეთე და სიყვარული იფრქვევა ამ ადამიანისგან. გული მწყდება, რომ მამა მიქაელს ვერ შევუქმენით სათანადო პირობები, ვერ გამოვუძებნეთ პატარა ადგილი მოსასვენებლად.

ტაძრის ამოქმედებამ ძალიან ბევრი მოაქცია ღვთისაკენ. ადრე თითებზე ჩამოსათვლელი მორწმუნეები იყვნენ. დღეს კი მათი რიცხვი გაიზარდა.




ჩარლი მეტრეველი

სტუმრად მოგვარაებათან

ცაგურიშვილების სახლის კარი შევალე და ოჯახის უფროსი შემომეგება. დევიკო ცაგურიშვილის მამა 18 წლის იყო, ასურეთში რომ ჩამოსასახლეს ამბროლაურის რაიონის სოფელ თლუღიდან. „ყველანაირად ვცდილობ, შევინარჩუნო წინაპართა დანატოვარი. ძალიან გვიყვარს ჩვენი სოფელი და ერთმანეთის სიყვარულსა და პატივისცემას არ ვკარგავთ. ვხუმრობთ ხოლმე, ასურეთი რაჭის ფილიალიაო. პირველ სადღეგრძელოს ასე ვამბობთ: რაჭის კუთხიდან რაჭის ფილიალს გაუმარჯოსო”.

გზად ერთი ქალბატონი გავიცანი, პედაგოგი ღია ნულუკიძე. მეუღლე ინასარიძე ჰყავს. „ჩემი მამამთილის მამა სასულიერო პირი გახლდათ. წარმოშობით რაჭიდან, ზემო კრიხიდან იყო. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, კვაცხუთში ან ზემო კრიხის ეკლესიაში მსახურობდა. მისი ერთადერთი სურათი შემოგვრჩა. თურმე ვლადიმერი ერქვა. ხუთი შვილი ჰყავდა. ერთ-ერთი შვილის რძალი თავად გახლავართ, - მიამბობს ქალბატონი ღია, - ხნიერ ხალხს ახსოვს, ძალიან

კეთილსინდისიერი მოძღვარი იყო. სურათზე მკერდზე მედალი ჰქვია, რაც გარკვეული ხარისხის მანიშნებელია. შვილებიდან აღარავინაა ცოცხალი. დიდებული შთამომავლობა დარჩა. ერთ-ერთი მისი შვილიშვილი, კოკა ფრუიძე ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეა. წინაპრის მაღლი დღემდე მოგვყვება. ასურეთის წმინდა სამების ტაძრის არქიტექტორი გახლდათ ამ მოძღვრის შვილიშვილი ვლადიმერ (ლოლი) ინასარიძე. სამწუხაროდ, ტაძრის დამთავრებას თავად ვერ მოესწრო.



ნოდარ ჭიჭინაია

პირველი ოჯახი, რომელიც ასურეთში დასახლდა

— ბატონო ნოდარ, რამდენი ხანია რაც ასურეთში ცხოვრობთ?

— პირველ რიგში, მინდა მოგესაღმოს და მოგეფეროთ ყველას, ჩემო რაჭველებო, ჩემო სისხლი და ხორცო. 11 წლის ბიჭი ვიყავი, როდესაც ჩემი ოჯახი ასურეთში დასახლდა, ჩვენ პირველი მერცხლები ვიყავით რაჭიდან გადმოსხლებულთა შორის.

— ეგ როგორ?

— ჩემი ძმა, აპოლონი ამბროლაურის რაიონის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი იყო, რომლის ხელმძღვანელობითაც 1941 წელს მოხდა რაჭველების ჩამოსახლება ასურეთში. ხალხმა საკუთარი ფუძის დატოვებაზე უარი განაცხადა, ჯერ თქვენი ოჯახი გადაასახლეთ და მერე ჩვენც წამოვალთო. აპოლონმა უყოყმანოდ შეასრულა ხალხის თხოვნა და პირველი რაჭველი, ვინც ასურეთში დასახლდა ჩვენი ოჯახი იყო.

— შემდეგ როგორ შეენწყვეთ ახალ გარემოს?

— ჩემი მშობლებისაგან ვიცი, რომ დღედაღამ საკუთარი სახლი და ეზო-კარ-მიდამო ენატრებოდათ, ინა — ჩვენი მშობლიური სოფელი, ჩვენი წინაპრების საფლავები. მამაჩემი ყოველ დილას რაჭის ხსენებით იწყებდა. მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალია. შევეგუეთ ავად თუ კარგად. შვილებს (ხუთი დედამიშვილი ვიყავით: რუბენი, ნოდარი,

ელენე, ალექსანდრე და აპოლონი) სულ რაჭის სიყვარულს გვინერგავდნენ.

სამი შვილი გავზარდე, ბიჭი გარდამეცვალა და მთელი ჩემი სიცოცხლის ხალისი მას გავატანე. ორი გოგო მყავს; ხათუნა და ნინო, სამი შვილიშვილი, შვილთაშვილს ველოდები, ბედნიერი კაცი ვარ, 88 წელი მისრულდება და ჩემს დიდ ოჯახთან ერთად კიდევ ერთი აღდგომის ბრწინვალე დღესასწაული ვიზეიმე.

— ბატონო ნოდარ, რაჭასთან კავშირი თუ გაქვთ?

— ჩემი მეუღლის სოფელში, წესში დავდივარ, ძალიან მიყვარს იქაურობა. ინასთან, სამწუხაროდ კავშირი არ მაქვს.

ჩემს მშობლებს სახლი ჯუდი გენაძისთვის მიუყიდათ. ჯუდი იმ ხანად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორი იყო. მიხარია, რომ ჩემი მშობლიური კერა არ დაინგრა. დღეს იქ ოჯახი ცხოვრობს.

გავიდა დრო და ყველაფერი თავის რიგზე დალაგდა.

ბედნიერი ვარ, როცა ჩემს ბავშვობაში ვისხენებ... დღეს აქ ვცხოვრობ და ასურეთელი რაჭველი მქვია. გეფერებით, ჩემო რაჭველებო.


ნიმო რახვიაშვილი

დილის განწყობა ბარბარისმებით

თვალს ვერ ვუსწორებ
 ალიონზე ამომავალ მზეს,
 გრილი ჰაერი შეაფხინლებს
 თბილისს - ადრიანს.
 რთვით დანამულ სახურავებს
 ზირს შეუმშრალებს
 და თან დაემებს ძველს და ნაცნობს
 „კრიშას“ ჟანგიანს.
 მერე ექცევა საბაგიროს
 „კაბინებს“ შორის,
 თითქოს საუბრე ჩამოკიდეს
 აქეთ-იქედან.
 არ მოსწონს, მაგრამ
 უნებურად სარკეს დაემებს,
 „ცინკის“ სახურავს ჩამოსედავს
 - მაინც, შორიდან.
 ჯერ კიდევ კვირტებს,
 წითელ ვარდებს შაში ესტუმრა.
 ათვალეობებს, ეფერება.
 შეახებს ნისკარტს.
 მხემ შეამჩნია, წააქეზა, სსივი აჩუქა.
 შაშიც ამღერდა,
 მაესტრომ სომ ნიშანი მისცა.
 იასამნისფერ იასამნებს ტაძრის ეზოში,
 ენაქრება ალუბლის ხე - გაღმა ქუჩაზე.
 ძველი თბილისის, ძველ რიკულებს, დილა უხდება,
 ამ განაფხულის აწრილი და მისი სინაზე.
 უღამაზესი ზეისაჟი მეტეხის თავზე
 და ირანელი ტურისტები გვერდით სახლიდან,
 ღამის რეისით ჩამოსულებს, ალბათ დაღლილებს,
 თვალს გაურბით, ღამაზია ჩვენი მთაწმინდა.
 აჩსაკუნებენ ტელეფონებს და აპარატებს,
 დაბლა დახრიან შავ-შავ თვალებს საღამის ნიშნად,
 თვალს გარდებენ, თავსაბურავს შეისწორებენ
 და კვლავ რჩებიან ჩემი ხედვის, შეგრძნების მიღმა.
 შემოხვევიან მერცხლებივით გრძელ-გრძელ გისოსებს,
 თითქოს გაფრენას აპირებენ ბნელი საკნიდან.
 მე უნებურად ცას ავხედე, მადლობა დმერთო!
 რომ არ ვუყურებ ჩემს სამშობლოს შავი ჩადრიდან.



მზია
 მაისუბრაძე



მადლობა დმერთო!
 რომ არ ვუყურებ
 ჩემს სამშობლოს
 შავი ჩადრიდან.

გილოცავ



გიორგი ლომაშვილი — ღირსეული, დიდებული, დიდი და კლიერი პიროვნება. აღამიანი თავის მიღწევებით იზომება, გიორგი ლომაშვილი დამოუკიდებლად იზრდებოდა და ერთ-ერთი უდიდესი მწვერვალი გახდა კავკასიულ გუმბარაზე შორის. მუშაობდა ის, რომ ჩვენ შორის იყვა, ჩვენია და ჩვენიც, უდიდესი ცოდნა შეიქმნა და თვითონაც ცოდნა, მისი წყაროა, დიდი მოაზროვნე, შემოქმედელი და მოქმედი აღამიანია. სად არიან, თუ არა, ასეთ შვილებს ვუსურვებდი ჩვენს კუთხეს და ჩვენს ქვეყანას.

გატონ გიორგის წინ კიდევ სხვებიანი, ოქროსფერი შემოღობვის პერიოდი უდგას, მჯერა კიდევ მეტად გარაჟიან მოსაპაღს შეკმატავს ქართული გონიერების ზარდახმას.

სულით და გულით ვულოცავ ცხოვრების ოქროს ხანაში ხელდაგმვანებულად შეგიჯებას. ქედს გიხრი, ჩვენო საყვარელო მეგობარო და კვირვასო აღამიანო.



თენგიზ გავაშვილი — ეს არ არის მხოლოდ გიზნესით წარმოჩინებული და სახელგანთქმული პიროვნება. ის არის კალხად ერუდირებული, განათლებული და მოაზროვნე აღამიანი, რომელსაც ნებისმიერ საკითხზე მსჯელობა შეუძლია, აქვს საღი აზრის გამომხატვისა და მეცნიერულ დონეზე გადმოცემის უნარი.

თენგიზ გავაშვილი ერთ-ერთი უდიდესი და უკლიერისი ქართველთაგანია. გულადი, ვურადი, უდალატო, სიმამლო დასაყრდენი ვაჟკაცი, რომელიც მთელ საქართველოს სწვდება და ეფერება. ცოტაა ასეთი შექლების და დონის ქართველი. ცხოვრებაში არაფერი შეიცვლება, თუ თავად აღამიანმა არ მოინდომა. თენგიზ გავაშვილმა გვიჩვენა რამ შეცვალა თავის ცხოვრებით თავისსავე მამულში. გააღამაზა გარემო არსებული უსახური გარემო, თავის ნამოქმედადით და თავის პიროვნებით, რაც მე კალიან მუშაობა და მახარებს.

თენგიზს წინ კიდევ დიდი გზა აქვს „წვების სიმაჟრით შენებისა და მშენებისა და აშენებულთ და დამშენებულთ ტკობისა“.

ათასობით ქართველთან ერთად ვულოცავ სიმაჟრის ხანაში შეგართებულად შეგიჯებას და ვუსურვებ მისი დამსახურებიდან გამომდინარე, ტკობასა და გადნიერებას თავის ღირსეულ და გამორჩეულ ოჯახთან ერთად.

გახვები, ჩემო საამაყო ქვამო!

ვეფხია გავაშვილი

მისი ძვის თქილანქი

ომახ მეტყველი
მაია მეტყველი
თამაზ მეტყველიშვილი

დავით დახახველიძე
დავით გაგომიძე
დავით ჟეჟხველიძე

„რაჭველგონს“ რედაქცია

ნინო ხეხუიაშვილის გამომცემლობა



მისამართი:
თბილისი,
ლესელიძის 27
ბე-2 სართ.
599746810
790746810

ნიგნების ბაჭყალი

ქუჩნალ-
ბაზათების
ბაჭყალი

ანყობა,
ლიზაინი,
დაკაბალონება